# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 7 აგვისტო 2003 №146 (1917) ფასი 50 თეთრი

# მკითხველო!

თუ ქართული ფეხბურთი გტკივა და თუ არ დაიზარებ, დაწერე შენი აზრი ამ ფურცელზე და გაუგზავნე ფედერაციას მისამართზე: ჭავჭავაძის, 76

ან დარეკე

91 26 10

91 26 50

91 26 80

ელექტრონული ფოსტა: gff@gff.ge



# ჩემპიონთა ლიგა

**მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები**

*შახტარი (უკრაინა)* 2:0 შერიფი (მოლდოვა) (0:0)
1:0 ვუკიჩი (59), 2:0 ბრანდაო (88)
შერიფი: ხუჩანი, ტესტიმიცანუ, პრიგანიუკი, თარხნიშვილი, ივანოვი, კ. ტუდორი (ფარიასი 24), ბორეცი, დადუ (ნესტერიუკი 70), ბლანკო, ოდია, ბარიშევი (კომლიონოკი 82)
გაფრთხილება: თარხნიშვილი, ტესტიმცანუ, ბორეცი
გაძევება: თარხნიშვილი (86)
მსაჯი: ლაეკი (საფრანგეთი)
38 000 მაყურებელი

მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) 1:1 *ჟილინა (სლოვაკეთი)* (0:1)
ჰიკ (ფინეთი) 1:0 *მტკ (უნგრეთი)* (1:3)
*ვარდარი (მაკედონია)* 1:1 ცსკა (რუსეთი) (2:1)
*რუსენბორგი (ნორვეგია)* 4:0 ბოჰემიანსი (ირლანდია) (1:0)
*სლავია (ჩეხეთი)* 2:0 ლეოტარი (ბოსნია) (2:1)
ომონია (კვიპროსი) 2:2 *ვისლა (პოლონეთი)* (2:5)
*ცსკა (ბულგარეთი)* 1:0 პიუნიკი (სომხეთი) (2:0)
*გრაცერი (ავსტრია)* 2:1 ტირანა (ალბანეთი) (5:1)
*ანდერლეხტი (ბელგია)* 3:2 რაპიდი (რუმინეთი) (0:0)
სლიმა (მალტა) 0:6 *კოპენჰაგენი (დანია)* (1:4)
იურგორდენი (შვედეთი) 2:2 *პარტიზანი (სერბეთი)* (1:1)
*დინამო (ხორვატია)* 2:1 მარიბორი (სლოვენია) (1:1)
*სელტიკი (შოტლანდია)* 1:0 კაუნასი (ლიტვა) (4:0)

**მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა**

ვარდარი (მაკედონია) — სპარტა (ჩეხეთი)
მტკ (უნგრეთი) — სელტიკი (შოტლანდია)
რეინჯერსი (შოტლანდია) — კოპენჰაგენი (დანია)
აუსტრია (ავსტრია) — მარსელი (საფრანგეთი)
ბრიუგე (ბელგია) — დორტმუნდი (გერმანია)
შახტარი (უკრაინა) — ლოკომოტივი (რუსეთი)
ლაციო (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია)
დინამო (უკრაინა) — დინამო (ხორვატია)
რუსენბორგი (ნორვეგია) — დეპორტივო (ესპანეთი)
გრასჰოპერი (შვეიცარია) — აეკ (საბერძნეთი)
ჟილინა (სლოვაკეთი) — ჩელსი (ინგლისი)
სელტა (ესპანეთი) — სლავია (ჩეხეთი)
პარტიზანი (სერბეთი) — ნიუკასლი (ინგლისი)
გალათასარაი (თურქეთი) — ცსკა (ბულგარეთი)
ანდერლეხტი (ბელგია) — ვისლა (პოლონეთი)
გრაცერი (ავსტრია) — აიაქსი (ჰოლანდია)

*პირველი მატჩები — 12-13 აგვისტოს, საპასუხო 26-27 აგვისტოს გაიმართება*

# ინტერტოტოს თასი 2003

**ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები**

ლიბერეცი (ჩეხეთი) 0:0 *შალკე (გერმანია)* (1:2)
შალკე: როსტი, კლასენერი, ვალდოხი, მატელანი, როდრიგესი, ასამოა (სანდი 77), ალტინტოპი, ვერმანტი (ქობიაშვილი 61), ზაივი (ტროიანი 77), აგალი, ციომერი
გაფრთხილება: როდრიგესი, ვალდოხი
მსაჯი: მესნერი (ავსტრია)
9 090 მაყურებელი

კოპერი (სლოვენია) 1:0 *ჰერენვენი (ჰოლანდია)* (1:4)
*ვოლფსბურგი (გერმანია)* 4:0 ციბალია (ხორვატია) (4:1)
ვერდერი (გერმანია) 1:1 *პაშინგი (ავსტრია)* (0:4)
*პერუჯა (იტალია)* 0:0 ნანტი (საფრანგეთი) (1:0)
*ვილიარეალი (ესპანეთი)* 2:0 ბრნო (ჩეხეთი) (1:1)

**ფინალი**

პაშინგი (ავსტრია) — შალკე (გერმანია)
ჰერენვენი (ჰოლანდია) — ვილიარეალი (ესპანეთი)
პერუჯა (იტალია) — ვოლფსბურგი (გერმანია)

*პირველი მატჩები — 12 აგვისტოს, საპასუხო 26 აგვისტოს გაიმართება*

## რუსეთი

**პრემიერლიგა. გადადებული მატჩი**

ლოკომოტივი 1:0 ჩერნომორეცი

## ავსტრია

**ბუნდესლიგა. IV ტური**

აუსტრია 3:0 მატერსბურგი
კერნტენი 1:1 ბრეგენცი

## ნორვეგია

**თასის 1/8 ფინალი**

*რაუფოსი* 6:1 მანდალი
*სკეიდი* 2:2დ.დ.(პენ.4:3, 1:1) სოგნდალი
ლილესტრომი 1:1დ.დ.(პენ.10:11, 1:1) *ვოლერენგა*
იორნი 1:3 *ბოდიო გლიმტი*
ვიკინგი 1:2 *ჰაუგესუნდი*

## ფინეთი

**თასის 1/8 ფინალი**

ტამპერე 3:1 როვანიემი
ტპ-47 1:1 ალიანსი

## ამხანაგური მატჩები

ბოლტონი (ინგლისი) 0:0 მალიორკა (ესპანეთი)
სპორტინგი (პორტუგალია) 3:1 მანჩესტერი (ინგლისი)

# ექსპრეს კომენტარი გუშინდელ აბსურდზე

# პრეზიდენტმა დიდი ნდობა გამოგვიცხადა

**მიხეილ ყაველაშვილი**

— მერაბ ჟორდანია ორიოდ დღის წინ დამიკავშირდა და ნაკრების გაწვრთნაში დახმარება მთხოვა. ისიც მითხრა, ალბანეთთან მატჩამდე ახალი მწვრთნელის დანიშვნას ვერ ვასწრებთ და აჩქარება არ გვსურსო. დავთანხმდი მის წინადადებას, როგორც შემეძლება, ნაკრებს მაქსიმალურად დავეხმარები.

**რევაზ არველაძე**

— მერაბ ჟორდანია კია პასუხისმგებელი, მაგრამ არც ჩვენ, მისი თანაშემწეები გავურბივართ ჩვენს წილს. ფედერაციის პრეზიდენტმა დიდი ნდობა გამოგვიცხადა და უნდა დავამტკიცოთ, რომ საქმის კარგად კეთება შეგვიძლია. ჩვენი მოტივაცია ჩვენი ურთიერთობაა. ჩინებული შანსი გვაქვს, ჩვენმა თაობამ ერთმანეთისადმი პატივისცემა მოედანზეც დაამტკიცოს.

**კახა კალაძე**

— ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი მაინც არ გვაქვს. ახალი შესარჩევი ციკლი კი სერიოზული უცხოელი სპეციალისტის ხელში უნდა დავიწყოთ. სხვანაირად არ გამოვა, ნურც ხალხს ვატყუებთ, ნურც საკუთარ თავს. თუ უცხოელს არ ჩამოვიყვანთ, ყველაფერი ძველებურად დარჩება. შესარჩევი ციკლის დაწყებამდე ვიტყვით, წარმატების შანსი გვაქვს და ამისთვის ვიბრძოლებთო, ერთი თამაშის მერე კი ჩავფლავდებით. თუ ფედერაციას სერიოზული უცხოელი მწვრთნელის ფული არ აქვს, მაშინ, ეგებ ქართველ ბიზნესმენებს ვთხოვოთ ამ საქმეში დახმარება. ნაკრები თუ სერიოზულ უცხოელ მწვრთნელს არ ჩააბარეს, არაფერი გვეშველება და ნურც იმედი გვექნება.

**გიორგი დემეტრაძე**

— არ ველოდი ფედერაციის ასეთ გადაწყვეტილებას. შესარჩევი ციკლი როგორმე უნდა ჩავამთავროთ, მერე კი მწვრთნელად უცხოელი ვნახოთ.

# კალაძემ კალაძე მილანში დატოვა

**გუშინ** კახა კლაძემ იტალიურ „მილანთან" კონტრაქტი გააგრძელა. იგი გუნდში 2006 წლის ზაფხულამდე დარჩება და თუ მისი და კლუბის სურვილიც იქნება, კახას „მილანში" თამაში 2008 წლამდეც შეეძლება. 1+2, ასეთია გუშინ ხელმოწერილი ახალი კონტრაქტის ფორმულა.

— შვებულების შემდეგ მილანში დაბრუნებულს კონტრაქტის გახანგრძლივება შემომთავაზეს, მაგრამ მოსაფიქრებლად დრო ვითხოვე. არც კლუბის ხელმძღვანელობას ავუჩქარებივარ. ამერიკიდან დავბრუნდით, ერთი დღე დავისვენეთ, დღეს კი ბაზაზე უკვე გამზადებული კონტრაქტი დამახვედრეს. ყველაფერმა დამაკმაყოფილა. „მილანში" ორი სეზონიც უნდა მეთამაშა, მაგრამ ამ ვადის ამოწურვას არ დაველოდებივართ, ძველ შეთანხმებას ერთი სეზონიც დაემატა. მოკლედ, 2006 წლის სეზონის ბოლომდე მილანელი ვარ, მერე ვნახოთ. შესაძლოა, კიდევ ორი სეზონიც აქ გავატარო, ეს ორივე მხარის სურვილზეა დამოკიდებული — გვითხრა კახამ, რომელსაც გუშინ მილანში დავუკავშირდით.

**ქოჩბა ინასარიძე**



# რას შეწევდები ჰონდურასს


ბორა მილუტინოვიჩი

**გუშინ** ტეგუსიგალპადან გავრცელდა ცნობა, რომ ჰონდურასის ნაკრების ახალ მწვრთნელად სერბი ბორა მილუტინოვიჩი დაინიშნა.

ვიმეორებთ, გუშინ ტეგუსი...

გაიგეთ? აღარ გავიმეოროთ? კეთილი! ესე იგი, გაიგეთ, რომ უცხოელი და თან ნამდვილად ავტორიტეტული მწვრთნელის მოძებნა და დანიშვნა ჰონდურასელებს შეუძლიათ.

„ბორა გასამრჯელოზე გაგვირიგდა, ასე რომ, ფორმალობებია დარჩენილი" — უთქვამს ჰონდურასის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს რაფაელ კალეხასს და დაუძენია, რომ იმედოვნებს, მილუტინოვიჩი საქმეს აგვისტოს მეორე ნახევარში შეუდგება, რათა გუნდი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად მოამზადოს.

ვიმეორებთ, რაფაელ კალეხასს დაუძენია, რომ...

არც ეს გავიმეოროთ? ესე იგი, გასაგებია, რომ ჰონდურასში უკვე იწყებენ მზადებას მსოფლიოს იმ ჩემპიონატისთვის, რომლის შესარჩევში ყველა ქვეყანა მონაწილეობს და ნუ, წესით, უნდა ემზადებოდეს კიდეც.

ვიმეორებთ, გასაგებია, რომ ჰონდურასში უცხოელ მწვრთნელს პოულობენ, ნიშნავენ და შემდეგ თითოეულ კვირას უფრთხილდებიან, დროს არ კარგავენ, არ ამბობენ, რომ ჯერ წახდენილი საქმე ჰონდურასული ფეხბურთის მავანმა მოხელემ პასუხისმგებლობის გარეშე უნდა ჩაამთავროს, შემდეგ კი... და ასე შემდეგ?

ცნობისთვის: წლეულს ჰონდურასის ნაკრებს ორი მწვრთნელი უკვე ჰყავდა, ხოსე დე ლა პას ერერა და ედვინ პავონი, რომელიც ივლისში კონკაკაფის ოქროს თასზე ჯგუფიდან ვერგასვლისთვის მოხსნეს.

შეგახსენებთ, რომ ჰონდურასის ნაკრები ჯგუფში ბოლო ადგილზე არ გადის და მსოფლიოს პირველობაზე მოსახვედრად იბრძვის, ხოლო 2001 წელს კოპა ამერიკაზე ბრაზილიას მოუგო.

ვიმეორებთ, შეგახსენებთ, რომ...

კარგი, კარგი, ესე იგი, გასაგებია, რომ ჰონდურასი მსოფლიოს ჩემპიონატზე გასასვლელად იბრძვის და ბრაზილიასაც (და არა ალბანეთს) ებრძვის ხოლმე.

ჰონდურასის ისტორიაში იყო ერთი მსოფლიოს ჩემპიონატი, 1982 წლის, რომელშიც ქვეყანამ ფინალურ ეტაპზე ითამაშა, ხოლო მანამდე 13 წლით ადრე სწორედ შესარჩევის გამო სალვადორთან იომა.

ვიმეორებთ, ჰონდურასმა ფეხბურთის გამო სალვადორთან იომა!

ტანკებით, ჯარისკაცებით, ავტომატებით...

თუმცა ფეხბურთის გამო ომი სისულელეა, ისევე, როგორც იმაზე ნერვიულობა, რომ რომელიღაც ცუდი მწვრთნელების ქვეყანაში უცხოელის შერჩევა და დანიშვნა უნდათ და შეუძლიათ, შენსაში კი ვითომ უნდათ და არასდროს მოინდომებენ.

ვიმეორებთ...

**ბაჩუნა ძიდია**

# ნაკრები მე ვარ!
## ჟორდანიამ თავი გაამეტა



*გუშინდელი „სარბიელის“ პირველი გვერდიდან — ფედერაცია ნაკრების მწვრთნელს თან იტყვის, თან არ იტყვის...*

*ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას გუშინდელი პრესკონფერენციის შემდეგ — ფედერაციამ ნაკრების მწვრთნელი თან თქვა, თან არ თქვა...*

*პრესკონფერენცია სულ ოც წუთს გაგრძელდა. მერაბ ჟორდანიამ სათქმელი პირველივე წინადადებით თქვა — ნაკრების მწვრთნელი მე ვარ!*

*ფედერაციის პრეზიდენტმა ეროვნული გუნდის მწვრთნელად თავისი თავი დანიშნა!*

— მთელ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ, უახლოესი სამი მატჩისთვის საქართველოს ნაკრებს მე ვუხელმძღვანელებ. ეს ჩემი დებიუტი იქნება სამწვრთნელო საქმეში, თუმც აქვე ვიტყვი, უკანასკნელიც. ოქტომბრის მერე მწვრთნელობას არ ვაპირებ. ფეხბურთის ფედერაცია გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა და იძულებულნი გავხდით, ასეთი ნაბიჯი გადაგვედგა. ჩვენ მოუმზადებლები ვიყავით და ვერ განვსაზღვრეთ, თუ ასეთი ცაიტნოტური ვითარება შეგვექმნებოდა — თქვა მწვრთნელმა, თან მწვრთნელმა, თან პრეზიდენტმა. ისე, სიტყვამ მოიტანა და, რომ ვთქვათ, ჟორდანიას გადაწყვეტილება უპრეცედენტოაო, ვფიქრობთ, არ შევცდებით. ერთდროულად ფედერაციის პრეზიდენტი და ეროვნული გუნდის თავკაცი — ეს უკვე სხვა განზომილებაა და ასეთი მხოლოდ აქ უნდა მოხდეს.

გუშინვე თან მწვრთნელმა, თან პრეზიდენტმა ნაკრებში თავისი თანაშემწეებიც დაასახელა — ფეხბურთელი თემურ ქეცბაია, ფეხბურთელი მიხეილ ყაველაშვილი, მწვრთნელი რევაზ არველაძე.

— ქეცბაიას, ყაველაშვილსა და არველაძეს უკვე ვესაუბრე და ისინი თანახმანი არიან, ნაკრებში მუშაობისას დამეხმარონ. საწვრთნელ-მოსამზადებელ პროცესს ჩვენ ერთად დავგეგმავთ, თუმც საბოლოო გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად მივიღებ. სამივე თანაშემწეს თანაბარი უფლებები ექნება, მეკარეებს ისევ ოთარ გაბელია მოამზადებს.

ჟორდანია, გაბელია, არველაძე, ყაველაშვილი, ქეცბაია — აი, საქართველოს ბედკრული ნაკრების სამწვრთნელო შტაბი, რომელიც გუნდს 6 და 10 სექტემბერს ალბანეთთან, 11 ოქტომბერს კი რუსეთთან სათამაშოდ მოამზადებს.

— გარწმუნებთ, ნაკრების ყველა ფეხბურთელი თავის მაქსიმუმს აჩვენებს, გუნდში არ იქნება განხეთქილება და უარი თამაშზე. ვიდრე იოტისოდენა შანსი არის, ხელი არ უნდა ჩავიქნიოთ და მოსაგებად გავეწყოთ. არ გამოვრიცხავ, ამ შესარჩევი ჯგუფის მეორეადგილოსნის ვინაობა 11 ოქტომბერს მოსკოვში რუსეთ — საქართველოს მატჩში გაირკვეს. ვამბობ, რომ ჯგუფიდან გასვლის იმედი საბოლოოდ გადაწურული ჯერ არ გვაქვს.

და რა იქნება 11 ოქტომბრის მერე? ოღონდ ნუ გავითვალისწინებთ იმ შემთხვევას, ანუ სასწაულს, თუ საქართველოს ნაკრები ამჟამინდელი სამწვრთნელო შტაბით ევროპის ჩემპიონატზე, თუნდაც იქ მოსახვედრ პლეი-ოფში ითამაშებს. ჟორდანია ამბობს:

— ნაკრებს აუცილებლად უცხოელი გაწვრთნის. უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება რამდენიმე სპეციალისტთან. ვის ჩავაბარებთ ეროვნულ გუნდს, ეს წლის ბოლომდე გაცხადდება. ჩამოვიყვანთ ისეთ მწვრთნელს, რომელიც ყველასთვის მისაღები იქნება. საერთოდ კი, მიზანშეუწონლად მიმაჩნია მწვრთნელზე საჯარო განხილვები მოეწყოს. მწვრთნელის დანიშვნა ფედერაციის საქმეა.

რაკი მერაბ ჟორდანია უცხოელ მწვრთნელზე, მით უფრო, მის აუცილებლად ჩამოყვანაზე ლაპარაკობს, თავისა და მისი გაწვრთნილი გუნდის წარმატების იმედი არ აქვს და ის სიტყვებიც, მეორეადგილოსანი შესაძლოა რუსეთ — საქართველოს მატჩმა გაარკვიოსო, მხოლოდ სიტყვებია. გამოდის, რომ ალბანეთთან ორი და რუსეთთან მატჩები ფედერაციისთვის ჩირად ღირს და ამ შესარჩევი ეტაპის ჩამთავრებას ეშურება. სხვაგვარად ნაკრები სხვას ჩაბარდებოდა და საქმესაც უფრო სერიოზულად მიეხედებოდა.

ჩანს ისიც, რომ ფედერაცია ნაკრების თავკაცად რევაზ არველაძეს ამზადებს, ახლა კი მისი ჟორდანიას თანაშემწედ „გასაღება“ შეგვიძლია, არველაძისთვის პასუხისმგებლობის ასაცილებლად და ნიჭიერი, პერსპექტიული მწვრთნელის სახელის შესანარჩუნებელ ხერხად ჩავთვალოთ. ჟორდანია, თავადვე თქვა, მწვრთნელობას არ აპირებს, ყაველაშვილი და ქეცბაია ჯერაც თამაშობენ და მწვრთნელობა ჯერ არც უცდიათ, გაბელია გაბელიაა, მეკარეთა მწვრთნელი და მის გამთავარმწვრთნელობაზე ლაპარაკი, ვფიქრობთ, უადგილოა, არველაძე კი... ფედერაციამ მწვრთნელი თან დანიშნა, თან არ დანიშნა. ჟორდანია პრეზიდენტია და არა მწვრთნელი, არველაძე კი მთავარი მწვრთნელია და არა თანაშემწე. ყოველ შემთხვევაში, დღეს თუ ქაღალდებზე ნაკრების მთავარ მწვრთნელად ჟორდანიაა გათავისუფ...ლი, ხვალ სხვანაირად იქნება. ხვალ, ალბათ, ისიც იქნება, რომ არველაძე იმ უცნობი უცხოელის ნაღდი თანაშემწე გახდება, ნაკრებში მუშაობის პრაქტიკას შეიძენს და მერე პირველ სკამზე გადაინაცვლებს.

ბოლოს კი ესეც ვთქვათ: მერაბ ჟორდანიამ დონეცკის „მეტალურგის“ კაპიტანი გოჩა ჯამარაული ნაკრებში დაბრუნებაზე დაიყაბულა.

— გოჩას ტელეფონით უკვე ვესაუბრე, ჩვენი ჩანაფიქრი გავაცანი და ჩათვალეთ, რომ ის ნაკრებში კვლავაც ითამაშებს. ჯამარაულის ადგილს ძირითად შემადგენლობაში ვხედავ, მან ნაადრევად გადაწყვიტა ეროვნული გუნდიდან წასვლა. ნაკრების მთლიან შემადგენლობაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით, თუმც კი თავის გამოჩენის შანსი ყველას ექნება. ალბანეთთან სათამაშოდ ნაკრები „დინამოს“ დიღმის ბაზაზე აღარ მოემზადება. „დინამო“ თავის სამომავლო საქმეებზე სერიოზულადაა გადართული, ხელს ვერ შევუშლით და მათ ბაზაზე ერთ კვირას ვერ ვივარჯიშებთ, ეს „დინამოს“ საწვრთნელ პროცესს დაარღვევს. ჩვენი ბაზა საცხოვრებლად უკვე ვარგისია. უახლოესი შესარჩევი მატჩებისთვის, თბილისსა და ტირანაში, ყველა საორგანიზაციო საკითხი უკვე მოგვარებულია. ალბანელებს 6 სექტემბერს ეროვნულ სტადიონზე ვუმასპინძლებთ. 20 აგვისტოს დაგეგმილ ამხანაგურ მატჩს კი საქართველოს ნაკრები არ გამართავს — თქვა ახალმა მწვრთნელმა.

**კობა ინასარიძე**



# ჩვენთან, ჯოჯოხეთში...
## ცხოვრება ჩაკეტილი წრეა

**ყველაფერი** ამთავითვე რომ გაირკვეს, ვიტყვით: საქმე გამოვიდეს და საქართველოს ნაკრების მწვრთნელად თუგინდ ედუარდ შევარდნაძე დანიშნონ (საქართველოსავე პრეზიდენტობის შეთავსებით). ასისტენტებად კი ავთანდილ ჯორბენაძე, ლევან თედიაშვილი და გივი ბერიკაშვილი მიუჩინონ. თანახმა ვართ! კიდევ ის დავძინოთ, რომ საქმის გამოყვანა სხვადასხვანაირად შეიძლება, მზა რეცეპტი არ არსებობს, ამიტომ, რაც უნდათ, ის სცადონ, მაგრამ... ღმერთო, რამდენჯერ? ერთხელ, მეორედ, მეასედ, მეათასედ რომ არ გამოდის, ეს უკვე ექსპერიმენტი აღარ არის.

ერთხელ სცადეს ორი მწვრთნელი, მეორედ...

ერთხელ სცადეს უცნობი უცხოელი, მეორედ...

ერთხელ სცადეს ცნობილი ქართველი, მეორედ...

ერთხელ სცადეს ბოლო რამდენიმე თამაშის ქარისთვის გატანება, მეორედ...

ყველაფერი აბსურდს დაემსგავსა და ადამიანს უნებურად გაქცევა, სადმე გადაკარგვა გინდება. მადლობა ყველას, ორ მწვრთნელს უცნობ უცხოელს თუ ცნობილ ქართველს, მაგრამ საქმე არ გამოსულა და არ გამოდის. კიდევ, დიდზე დიდი ეჭვი გვაქვს, რომ არც გამოვა, რადგან ჩვენი საფეხბურთო ცხოვრება აბსურდად იქცა, იმაზე დიდ აბსურდად, ამ წერილის თუ რეპლიკის პირველ წინადადებაში რომ წერია. შევარდნაძე, ჯორბენაძე, თედიაშვილი და ბერიკაშვილი კეთილი და, ალბათ, უკბილო ხუმრობაა. მერაბ ჟორდანია, რეზო არველაძე, მიხეილ ყაველაშვილი და თემურ ქეცბაია კი ხუმრობა არ არის. ჟანრი დატოვებულია — აბსურდი, ხუმრობა კი ამოღებულია.

როგორ შეიძლება, ბატონ მერაბს, რომელსაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე დღე-ღამეში 24 საათი სჭირდება, დაემატოს საქმე, რომელიც იმავ დღე-ღამეში ერთ ამდენს მოითხოვს? რა უნდა პრეზიდენტს, დღე-ღამეში 48 საათი?! თან მისი მწვრთნელობის უნარი ხომ საზოგადოებისთვის უცნობია. ნუთუ რისკავს? ვაითუ პირველივე შეხვედრაში დიდი ანგარიშით სწორედ სამწვრთნელო შეცდომების გამო წააგოს, მერე? მერე რას აპირებს? გაიწევა და მწვრთნელის პოსტი იმ სამეულს დაეზღვრთება, რომელიც გუშინ ასისტენტებად მოიხსენია? კი მაგრამ, იმ სამეულიდან ორი, ქეცბაია და ყაველაშვილი ხომ ჯერ ფეხბურთელები არიან და ლუკმა-პურს უცხოეთში შოულობენ?! ესე იგი, რა გამოვა, ისინიც უნებლიეთ გაიწევიან და საქართველოს ნაკრები რეზო არველაძეს დაეცემა მხრებზე?

დავიჯეროთ, ეს ცოტა ხნის შემდეგ მწვრთნელად რეზო არველაძის დანიშვნის გეგმაა? თუ ასეა, ფინტია პირადპირ. მაგრამ ბატონი რეზოსადმი პატივისცემის გარდა სხვა ემოცია არ გვაქვს და არ გვემეტება ეს კაცი ამ აბსურდისთვის. გაცილებით ჯობს, ჯერ დაიხვეწოს როგორც მწვრთნელი და მერე პირდაპირ, ალალი ნაბიჯით, ჩვენი ტაშის აკომპანემენტით მოვიდეს ნაკრების სათავეში — რა ეჩქარება?!

მეორე მხრივ, ეს, რაც ახლა დავწერეთ, აბსურდის ახსნის მცდელობაა და არ არის გამორიცხული, ამიტომ თავად იყოს აბსურდი, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით. თან ვატყობთ, რომ რაც მეტს ვფიქრობთ, მით მეტად ვიბნევით.

მოკლედ, კარგი გამოსავალი ისევ ისაა, ჟორდანიას მწვრთნელის დიდი ნიჭი აღმოაჩნდეს, თორემ შეიძლება ისევ გაუგებრობაში აღმოვჩნდეთ — ატყდება უკვე ორჯერ გავლილი ამბავი: უცხოელის მოთხოვნა და იმის გარკვევა, რატომ არ არიან ერთნაირად უცხოელები, ვთქვათ, ლუის ვან გაალი და იოჰან ბოსკამპი. საბოლოოდ, ფედერაცია ისევ უცნობ უცხოელს მოიყვანს და შემდგომი ციკლის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე გაუშვებს...

და დატრიალდება ჩაკეტილი წრე... ისე, ფილოსოფოსები ამბობენ, რომ ჯოჯოხეთი სწორედ ჩაკეტილი წრეა.

**პაპუნა ძედია**

# აშვეთია ჩემპიონთა ლიგას პრემიერლიგიდანაც გასინჯავს

# ვიიინ? მიხოს ხმოვნეზი არ ეყო




*მოსკოვის „ლოკომოტივი", როგორც იქნა, დაიძრა. რუსმა რკინიგზელებმა გუშინ „ჩერნომორეციც" მოინელეს და სატურნირო ვითარებაც გამოისწორეს. სათადარიგო იყო მალხაზ ასათიანი, მიხეილ აშვეთიამ 80 წუთი დაჰყო მოედანზე და ლოსკოვის ერთადერთ გოლში წილიც დაიდო.*

*მალე ლოკომოტიველი ქართველები ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებენ, რკინიგზელებმა გუშინ სალიგო განაცხადი წარადგინეს უეფაში.*

*მიხეილ აშვეთიას გუშინ მოსკოვში დავუკავშირდით, ინტერვიუ ვთხოვეთ, თუმც მალევე როლების გაცვლა მოგვიხდა, აშვეთია ძლივს დავარწმუნეთ, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელად მერაბ ჟორდანიამ მერაბ ჟორდანია დანიშნა*

— „ჩერნომორეცთან" მოკრძალებული ანგარიშით მოიგეთ, გაგიჭირდათ?

— პირველ ტაიმში დიდი უპირატესობა გვქონდა, რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც გავაფუჭეთ, მეც მქონდა ორჯერ შესაგდები, მაგრამ მეკარემ ითამაშა კარგად. ლოსკოვის გოლში მეც დავიდე წილი. კარგი პირველი ტაიმის შემდეგ მოვდუნდით და მეორე ნახევარში ნოვოროსიისკელებმაც ცოტა გვანერვიულეს, მაგრამ ყველაფერი სასიკეთოდ დამთავრდა და ახლა სულმოუთქმელად ველით ჩემპიონთა ლიგის მატჩებს.



— ბოლო დროს იური სიომინი მალხაზ ასათიანს არ სწყალობს. რა არის მიზეზი?

— მხოლოდ და მხოლოდ კონკურენცია. საგანგაშო არაფერია, მალხაზის დროც დადგება.

— „სპარტაკის" გაბითურების შემდეგ რუსებმა ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეგიყვანეს, ნამატჩევს გულშემატკივრებმაც ოვაცია მოგიწყვეს, პოპულარული გახდი მოსკოვში...

— პოპულარობა უცებ მოდის და თუ არ გაუფრთხილდი, უცებვე დაკარგავ. მართლაც კარგად აეწყო მოსკოვში ჩემი საქმე, პრესის ყურადღებასაც ვგრძნობ და გულშემატკივრებსაც შევაყვარე თავი. არ უნდა გავჩერდე, თორემ მათთვის მაინც უცხო ვარ და დიდხანს არ გაგრძელდება ჩემი პოპულარობა.

— „ალანიაში" გოლი სანატრელი გქონდა, მოსკოვში კი ხუთ მატჩში უკვე ოთხი გაიტანე...

— კარგ გარემოში და ძლიერ გუნდში მოვხვდი, თანაც ვლადიკავკაზელები ჩემს პოზიციაზე არ მათამაშებდნენ, „ლოკომოტივში" კი ამ მხრივ პრობლემები არ მაქვს. ვფიქრობ, კარგ ფორმაში ვარ და ისღა დამრჩენია, მხოლოდ გოლებზე ვიფიქრო.

ჰო, მართლა, გავიგე, ივო შუშაკი ველარ შეძლებს ნაკრების გაწვრთნასო, გული დამწყდა, ჩინებული კაცია, პროფესიონალი, კარგი იქნებოდა, მუშაობის საშუალება მისცემოდა. როდის ნიშნავენ ახალ მწვრთნელს?

— უკვე დანიშნეს...

— რევაზ არველაძე, არა? ველოდი ამ ინფორმაციას.

— არველაძე არ დაუნიშნავთ, ნაკრების მწვრთნელი მერაბ ჟორდანია იქნება.

— ვინ? ხუმრობ?

— სრული სიმართლეა, ჟორდანიამ დღეს სახალხოდ თქვა, დარჩენილ სამ ოფიციალურ მატჩში ნაკრებს მე გავწვრთნიო.

— უცნაურია... დავიჯერო?.. ნამდვილად არ ველოდი ამას, თუმც ამ შესარჩევ ციკლში მხოლოდ თეორიული შანსი გვაქვს დარჩენილი.

— შენი აზრით, როგორი მწვრთნელი უნდა ჰყავდეს ნაკრებს?

— სამომავლოდ აუცილებელია მცოდნე, უცხოელი სპეციალისტი მოიწვიონ, რომელსაც სათანადო პირობებს შეუქმნიან და დროს მისცემენ გუნდის გასამართად, თორემ სხვაგვარად პროგრესი შეუძლებელია.

**პაატა ძმანტალიანი**

# რეხვიაშვილს მეოცნებე მიუყვანეს

**საქართველოს** ნაკრების საყრდენ ნახევარმცველ ალექსანდრე რეხვიაშვილს ახალი მწვრთნელი ჰყავს. რუსული პრემიერლიგის აუტსაიდერ „ტორპედო-მეტალურგიდან" ვალენტინ ივანოვის წასვლის შემდეგ გუნდს ალექსანდრ იგნატენკო ჩაუდგა სათავეში.

ივანოვის წასვლაზე ჯერ კიდევ პირველ წრეში ლაპარაკობდნენ, თავმოყვარე მწვრთნელმაც, მივდივარო თქვა, მაგრამ რეხვიაშვილმა და მისმა თანაგუნდელებმა პრეზიდენტ ბელოუსს უთხრეს, ამ კაცის გარეშე გაგვიჭირდებაო და მანაც ივანოვი დარჩენაზე დაითანხმა.

მას შემდეგ ჩვენებურის გუნდმა წამლად ერთი თამაშის მოგებაც ვერ შეძლო, მხოლოდ კინკილა ქულას გამორჩა მეორე წრის პირველ ტურში კონკურენტ „ურალანს" და დღეისთვის უნუგეშო მდგომარეობაშია — 19 თამაშში 11-ქულიანი „ტორპედო-მეტალურგი" მყარად ზის ბოლო პოზიციაზე და იოტისხელა შანსი აქვს მდგომარეობის გამოსასწორებლად. მაგრამ დახეთ იგნატენკოს, კაცი ასეთ გუნდში სამუშაოდ მიიყვანეს და ამბობს, ფიქრი ნუ გაქვთ, პრემიერლიგაში დავრჩებითო. იგნატენკოს ალბათ 6 წლის წინ მომხდარი სასწაულის გამეორებისა სჯერა. მაშინ მან ორქულიანი „ტიუმენი" ჩაიბარა და ლიგიდან გავარდნისგან იხსნა, თუმც შევნიშნოთ, რომ ის გუნდი მაშინ მეორე ლიგის ურალის ზონაში თამაშობდა, პრემიერლიგას კი სულ სხვა მოთხოვნები აქვს. თუმცა ჩვენ რა, იგნატენკოს სჯერა და დაველოდოთ, სად იქნება რეხვიაშვილი რუსული სეზონის ბოლოს.

**პაატა ძმანტალიანი**

# პროფლიგა პრეფერანსი არ არის, მიზერით დაიწყო

**გუშინ** ახალფეხადგმული პროფესიული საფეხბურთო ლიგის მესვეურები კვლავ შეხვდნენ კლუბების პრეზიდენტებს. გასარკვევ-გადასაწყვეტი ბევრი რამ იყო, თუმც უმაღლესლიგელებმა ამის გარეშეც, მომავალი შეთანხმების იმედად მოაწერეს ხელი მემორანდუმს. ერთსაათიან შეხვედრაზე მასპინძლებმა სტუმრებს თითოეული გუნდისთვის განკუთვნილი ანტირასისტული კამპანიის მხარდამჭერი მაისურების კომპლექტი დაურიგეს და შემდეგ ორი საათით ადრე მოწვეული ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართეს.

ჩვენდა გასაკვირად, პროფლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა 15 წუთი ვერ გამონახა ჟურნალისტებთან დასარჩენად, თავაზიანი ბოდიში მოგვიხადა, გადაუდებელი საქმე მაქვსო და გენერალურ მდივან რევაზ ლორთქიფანიძეს შეგვატოვა, ყველა კითხვაზე ის გაგცემთ პასუხსო.

მუშაობა ახალი დაწყებული გვაქვს, ვიცით, რომ ჯერჯერობით საქმეს ხუთიანზე ვერ ვუძღვებით, მაგრამ პატარ-პატარა შეცდომებისთვის ფეხს ნუ დაგვიდებთ, ჟურნალისტების მხარდაჭერა მნიშვნელოვანი და ფასეულია ჩვენთვისო, გვითხრა ლორთქიფანიძემ.

რევაზ ლორთქიფანიძეს, დიმიტრი რამიშვილს და მათ გუნდს ჯერაც ბევრი დრო აქვთ საქმის საკეთებლად. წარმატებებსაც ვუსურვებთ, მაგრამ ფაქტია, დღითი დღე აშკარა ხდება, რომ პროფესიული საფეხბურთო ლიგა ნაჩქარევად ჩამოყალიბდა ჩვენში. კი, ბატონო, უეფას ფეხის ხმას აყოლილი სფფ სიახლეებს ვერ ჩამორჩება და დღეს თუ ხვალ გარდაუვალი იქნებოდა საქართველოში პროფესიული საფეხბურთო ლიგის ჩამოყალიბება, მაგრამ ასე ნაჩქარევად, ელემენტარული საფუძვლების გარეშე ლიგის დაარსება, ვეჭვობთ, შედეგიანი და ეფექტური იყოს. პროფლიგის მესვეურებს დღეს უხდებათ იმ პრობლემების მოგვარება, რომლებიც, წესით, მოსამზადებელ ეტაპზე უნდა გადაწყვეტილიყო. ამიტომაც ვფიქრობთ, პროფესიული საფეხბურთო ლიგის მესვეურებს დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდებათ, ქართულ ჩემპიონატს წინსვლა რომ დაეტყოს.

გუშინდელ შეხვედრას დავუბრუნდეთ. მემორანდუმზე მხოლოდ „ლოკომოტივის" პრეზიდენტ აკაკი ჩხაიძეს არ მოუწერია ხელი. რკინიგზის შეფი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ვერ დაესწრო შეხვედრას. დახურულ სხდომაზე საკამათო სარეკლამო პრობლემა გამხდარა, თუმც რევაზ ლორთქიფანიძეს იმედი აქვს, რომ ამა თუ იმ კლუბის სპონსორები ლიგის მეცენატებთან საერთო ენას გამონახავენ. გაურკვეველი დარჩა საერთო ფონდის განაწილების მექანიზმიც. ამას წინათ ითქვა, რომ კლუბებს 300 ათას ლარს დაუნაწილებდნენ, დღეს კი საერთოდ უცნობია, რამდენი იქნება შემოსავალი.

როგორ განაწილდება ფონდი, ამას უშუალოდ კლუბები გადაწყვეტენო — გვითხრა ლორთქიფანიძემ.

სამწუხაროდ, წლეულს არც ტრადიციული სუპერთასის მატჩი გაიმართება. ფედერაციამ ჩემპიონატისგან ხელები დაიბანა, ახალდაფუძნებული პროფლიგა კი ამ მატჩის გამართვას ვერ ახერხებს, თუმც ლორთქიფანიძემ დაგვაიმედა, სუპერთასს უთუოდ აღვადგენთო.

ჯერაც გაურკვეველია, როდის იქნება მე-15 ეროვნული ჩემპიონატის მატჩის პირველი ტელეტრანსლაცია. სამაგიეროდ, გადაწყვეტილია, რომ პირდაპირ ჩვენებებს „პირველი არხი" და „იმედი" აწარმოებენ. ამათ ტელეკომპანია „გურიაც" დაემატა — „მერცხალის" საშინაო მატჩების პირდაპირ ტრანსლაციაზე გარანტიას ვიძლევითო.

პროფლიგის მესვეურები სპონსორთა წარდგენას ლიგის ოფიციალურ პრეზენტაციაზე გეგმავენ. პრეზენტაცია კაფე „მსოფლიო სპორტში" გაიმართება, მაგრამ როდის, ჯერაც უცნობია.

**პაატა ძმანტალიანი**



რევაზ ლორთქიფანიძე და დიმიტრი რამიშვილი

# კაცი ვარსკვლავებს ჰამიდვრებივით კრეფს



*ეს კაცი, რა ხანია, აღარ ხუმრობს. რომან აბრამოვიჩმა კლაუდიო რანიერის კიდევ ორი ფეხბურთელი შეუძინა: 21 წლის ნახევარმცველი ჯო კოული და 28 წლის არგენტინელი ჰავბეკი ხუან სებასტიან ვერონი ლონდონური „ჩელსის“ სრულუფლებიანი ნევრები არიან*

**მილიარდერმა** ოლიგარქმა, რომელიც, იცით, „არისტოკრატთა“ მფლობელია, ფულზე არც ახლა დაიწუწუნა, კოულის აწ უკვე ყოფილ გუნდს, „ვესტ ჰემ იუნაიტედს“ 6 მილიონ 600 ათასი გირვანქა ჩაუთვალა, ვერონის სანაცვლოდ კი „მანჩესტერ იუნაიტედის“ პრეზიდენტ პიტერ კინიონისთვის 15 მილიონს გამოვიდა.

და რა გამოდის? აბრამოვიჩის ჯიბე თუ ხაზინა ჯამში 58 მილიონით შეთხელდა. უეინ ბრიჯი, გლენ ჯონსონი, ჯერემი ნჯიტაპი, დემიენ დაფი, ჯო კოული და ხუან ვერონი ახლა კლაუდიო რანიერის მითითებებს ასრულებენ და მისი მეთვალყურეობით ვარჯიშობენ.

ფაქტია, „ჩელსი“ აშკარად გაძლიერდა. ლონდონელ „არისტოკრატებს“ ჩუქჩეთის გუბერნატორი უეჭველად პრემიერლიგის ჩემპიონობას მოსთხოვს და მართალიც იქნება.

მისი მომთხოვნელობის, როგორც ჩანს, არც რანიერის ეშინია: „კოული ზუსტად ისაა, ვინც გუნდიდან წასულ ჯანფრანკო ძოლას შეცვლის. მას ყველაფერი შეუძლია და თანაც ინგლისელია. ყოველთვის ვამბობდი, ჩემი სურვილია, „ჩელსიში“ რაც შეიძლება ბევრი ახალგაზრდა ინგლისელი მყავდეს, რომელთაც გამოცდილი ლეგიონერები დაეხმარებიან. ვერონზე კი რა უნდა ვთქვა, ხუანი რომ ექსტრაკლასის მოთამაშეა, ფიცი-მტკიცი არ სჭირდება. „მანჩესტერს“ ჩემპიონობისთვის აუცილებლად შევეცილებით. ვფიქრობ, პრემიერლიგის ტიტულისთვის ბრძოლა სწორედ ჩვენს შორის იქნება, მაგრამ არ გვავიწყდება „არსენალიც“.

მოკლედ, ასეა. დღეს „ჩელსი“ ევროპაში საჩემპიონთალიგო განაცხადს წარადგენს, სადაც აუცილებლად იქნებიან შეყვანილნი... თავადაც უკვე იცით, ვინც...

**გიორგი გაჩაკიძე**



ხუან სებასტიან ვერონი და ჯო კოული: უკვე არისტოკრატული მზერა



# გურუმ ზაფხული დაასრულა



# იუვემ სატრანსფერო სეზონი დახურა

**„იუვენტუსის“** გენერალური დირექტორი ლუჩანო მოჯი გვარწმუნებს, რომ კლუბი ამ ჯერზე ახალ ფეხბურთელებს აღარ იყიდის. მართალია, იტალიური პრესის თანახმად, „ბებერი ქალბატონი“ კიდევ ცდილობდა ვილაც-ვილაცების ყიდვას, მაგრამ მოჯი, რომელსაც მეტსახელად დაჟინებით უწოდებენ სატრანსფერო საქმეთა გურუს, ასე ამბობს:

„დამატებითი ელემენტები არ გვჭირდება“

თუმცა გუშინ, როდესაც გურუმ ასეთი რამ თქვა, გაზეთებმა დაწერეს, რომ „იუვენტუსი“ ედგარ დავიდსის გაყიდვას ლამობს ანუ აუცილებლად ეყოლება ახალი ნახევარმცველი შესაძენი. მოჯიმ ამაზეც უპასუხა:

„ვიმეორებ, კლუბსა და დავიდსს შორის არანაირი გაუგებრობა არ მომხდარა. მან იტალიის სუპერთასზე, „მილანის“ წინააღმდეგ, იმიტომ არ ითამაშა, რომ ცუდ ფორმაში იყო და მაინც, თუ ასე გინდათ დავიდსის წასვლის ვარიანტი განიხილოთ, ინებეთ, არც ამ შემთხვევაში ვიყიდით ახალ ფეხბურთელს, რადგან ის უკვე ნაყიდი გვყავს — სტეფან აპია“.

შეგახსენებთ, რომ აპია „ბებერმა ქალბატონმა“ ამ ზაფხულს „პარმასგან“ იყიდა, თუმც გასულ სეზონში იგი „ბრეშაში“ იყო განათხოვრებული და ამ გუნდში თამაშით მოაწონა ხალხსა და მწვრთნელებს თავი.

ასე და ამგვარად, მოჯიმ სატრანსფერო სეზონი დახურულად გამოაცხადა ანუ ჭორებს „ლაციოს“ ბერნარდო კორადისა და ხულიო კრუსის თაობაზე ვაჭრობის შესახებ, ალბათ, ჭორებადვე მოუწევს დარჩენა.

**პაპუნა ძედია**

# კაკანი გრძელდება

**ამ კაკას** ამბავი საზაფხულო შოუა თუ უნებლიეთ გამოსული უნიჭო კომედია, ჯერ ვერ გაგვირკვევია, მაგრამ გავარკვევთ, ყველანი ერთად დავინახავთ. საუბარი ისევ იმ და სწორედ იმ კაკას ეხება, შარშან ბრაზილიის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ იყო და, მართალია, საქმეში მხოლოდ ერთი თუ ორი წუთით ჩართეს, ჩემპიონი გახდა. ეს ის კაკაა, რომლის გვარსაც ისე არ იტყვიან, გვერდით სიტყვა სენსაცია თუ არ მიუწერეს, მაგრამ ნუთუ 22 წლის ფეხბურთელს თავისი სენსაციურობა უკვე საყოველთაოდ გამოფენილი არ უნდა ჰქონდეს?! თუ სენსაცია ხარ, განა მსოფლიოს ჩემპიონატი საკმარისი არ უნდა იყოს ნიჭის გამოსამჟღავნებლად? განა 22 წლამდე უნდა იწელებოდეს შენი ევროპაში გადმოსვლა-არგადმოსვლის ამბავი და იქიდანაც მხოლოდ ერთი გუნდი, — თუნდაც „მილანი“ — უნდა გეძახდეს?!

„თუ „მილანი“ 11,2 მილიონ ევროს გადაიხდის, შეუძლია, კაკა იტალიაში წაიყვანოს — განაცხადა „სან პაულუს“ დირექტორმა ჟუვენალ ჟუვენიკომ — უახლოეს დღეებში „მილანის“ წარმომადგენელთან, ლეონარდოსთან შეხვედრა გვაქვს დანიშნული და ვნახავთ, რას გვეტყვის, დაყაბულდება თუ არა ჩვენს მოთხოვნებს“.

კაკა შემტევი ნახევარმცველია და პასპორტით რიკარდო ისეკსონ სანტუშ ლეიტე ჰქვია.

**პაპუნა ძედია**



# მიდიან და ვერ წასულან

**„უდინეზე“** ოფიციალურად აცხადებს, რომ დავიდ პიზარო, ალბერტო და მარტინ იორგენსენი „ლაციოში“ აღარ გაიყიდებიან, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ სამი ფეხბურთელის შეძენას დაუყოვნებლივ არ შეეცდებიან „იუვენტუსი“ და „ინტერი“. ვიმეორებთ, უდინელთა დირექტორის პიერ პაოლო მარინოს განცხადებით, ეს მოთამაშეები მხოლოდ „ლაციოს“ აღარ ერგებიან.

დიახ, „უდინეზე“ გაბრაზებულია, რადგან საუბარი მასსა და „ლაციოს“ შორის ამ საქმეზე ჯერ კიდევ ივნისში იყო დასრულებული და უდინელების საინტერნეტო ვებ-გვერდზე ეს ყველაფერი ეწერა კიდეც, მაგრამ...

თურმე „უდინეზეში“ გადასვლას ჯერ ფაბიო ლივერანი უნდა დათანხმებოდა, მან კი კლუბთან ხელფასის თუ სხვა პირადი საკითხების ამბავი ვერ მოაგვარა — მეტს ითხოვდა, ნაკლებს სთავაზობდნენ.



ამ კვირას მოლაპარაკებებმა ახალი მიმართულება მიიღო — „ლაციო“ უკვე ლუკას კასტრომანს და ფულს გამოდიოდა, ხოლო „უდინეზე“ პიზაროსა და ალბერტოს კონტრაქტის ნახევარს, მაგრამ ამანაც არაფერი მოიტანა.

მარინო: „ამ საქმეს სათადარიგო ვარიანტი აღარ აქვს. სხვაა, რომ ხსენებული სამი ფეხბურთელის „უდინეზეში“ დარჩენის გარანტიას მე მაინც ვერ მოგცემთ“.

ყველაზე დიდი ვაჭრობა კი, ბუნებრივია, ჩილელი პიზაროს გამო მოსალოდნელი, რადგან თავდამსხმელი წინა სეზონში ფრიად თვალისმომჭრელ ფეხბურთს თამაშობდა.

**პაპუნა ძედია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რამ დაამოკლა კანავარო?
## რამ კი არა, ვინ: კუპერმა!



*„აიაქსთან“ წაგებულ 0:3-ს „ინტერისთვის“ გრძელი კუდები გამოზმია — მილანელთა მწვრთნელმა ექტორ კუპერმა ბრაზილიელი ლუსიოს ყიდვა მოინდომა, თან სასწრაფოდ! ამბობენ, კუპერს ფაბიო კანავარო გულზე აღარ ეხატებაო და* ***SOS!*** *დაცვის დიდოსტატ მწვრთნელს თავისი ფეხბურთელების უკან დგომა გადამეტებულად მოსჩვენებია*



**„ჩვენ მაღალი** მცველი გვჭირდება, რომელიც ზორბა თავდამსხმელებს გაუწევს წინააღმდეგობას“ — ამბობდა არგენტინელი მთელი ზაფხულის განმავლობაში და ეჭვობდნენ, რომ ასეთი უპირველეს ყოვლისა იაპ სტამია, თუმცა „ლაციომ“, სადაც ჰოლანდიელი თამაშობს, მის „ინტერისა“ ან „მილანისთვის“ მიყიდვაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

ასე და ამგვარად, ლუსიო, ფეხბურთელი, რომელიც ცოტა ხნის წინ „რომას“ სატრანსფერო მიზანი იყო, ახლა „ინტერს“ სურს და იმედოვნებს, რომ სადღაც 21-22 მილიონი ევროს ფარგლებში შეიძენს კიდეც.

კი მაგრამ, ლევერკუზენის „ბაიერს“ აღარ ეკითხებიან?

საქმეც ის არის, რომ ეკითხებიან და ხედავენ, რომ გერმანული კლუბი ლუსიოს ვეებერთელა ხელფასის გადახდას ვეღარ აუდის და სარფიან მოლაპარაკებებზე ნებისმიერ პარტნიორს სიამოვნებით დაუჯდება.

თუმცა, მცველის ძიებაში აი, კიდევ რა საკითხია გასარკვევი: ზემოთ ფაბიო კანავარო რომ ვახსენეთ, განა იმას ჯერ გაყიდვა არ უნდა? ცხადია, უნდა, მაგრამ სად და როგორ, ესაც ხომ სამუშაოა. თეორიულად ჩვენთვისაც ცნობილია, რომ მცველებით „რეალი“ და „ბარსელონა“ არიან დაინტერესებულნი.

ცნობისთვის, კანავარო 176 სანტიმეტრია და გაკვირვებული ხელებს შლის:

„ჩემი სიდაბლე აქამდე არავისთვის ყოფილა პრობლემა და ამ ზაფხულს რა მოხდა ასეთი, გაუგებარია“.

**პაპუნა ძედია**



# ბექემს თამაშიც შესძლებია
## რეკლამის სიუჟეტი გაცოცხლდა

*გუშინდელ „სარბიელში“ მოგახსენეთ: მადრიდის „რეალში“ გადასვლიდან ორი თვის თავზე დევიდ ბექემმა გოლი გაიტანა, ანუ ზოგი მიმომხილველის ირონიული შენიშვნის მიხედვით, პირველად დაამტკიცა, რომ მარკეტინგის ფენომენი კი არა, ფეხბურთელია.*

*სხვათა შორის, „მარკეტინგის ფენომენი“ ესპანური პრესის შერქმეული მეტსახელი გახლავთ, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს*

გოლი, რომელმაც ასეთი სიხარული გამოიწვია ტოკიოში, „ფ.კ. ტოკიოს“ კარში შევარდა და მართლა გამოიწვია ამ ტიპის შეფასებები:

„ბექემმა დაამტკიცა, რომ მისი ჭეშმარიტი ნიჭი მოედანზეა“.

კი, მაგრამ, ნუთუ ვინმეს მართლა სხვა აზრი ჰქონდა?

„ბექემი სადავეებს იპყრობს“ — დაწერა ესპანეთში ყველაზე დიდტირაჟიანმა გაზეთმა „მარკამ“, მისმა კონკურენტმა AS-მა კი ინგლისის ნაკრების კაპიტანს მარშალი უწოდა და ხაზი გაუსვა, რომ ზინედინ ზიდანის არყოფნაში მადრიდელების ნახევარდაცვას ბექემი ხელმძღვანელობდა.

შეგახსენებთ, რომ გოლი ინგლისელმა საჯარიმო დარტყმით გაიტანა.

„ჩვენ ყველას კარგად მოგვეხსენება, რა შეუძლია მას საჯარიმოდან“ — თქვა მცველმა მიჩელ სალგადომ — თუმცა მე ამ ჯარიმაზე მეტად მთლიანობაში მისი თამაში მომეწონა.“

რობერტო კარლოსი: „მის გვერდით თამაში პრივილეგიაა. ჩემთვის იგი დღევანდელობის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. დრო მივცეთ, თუმცა ისედაც ნახავთ, რომ დიდ ფეხბურთს ითამაშებს.

ფლორენტინო პერესი, „რეალის“ პრეზიდენტი: „დღეს ჩვენ ფეხბურთელი ბექემი ვიხილეთ, მან გააკეთა ის, რისაც ყველას გვეიმედებოდა“.

ბოლოს გაზეთი „ელ პაის“:

„ბექემმა „რეალის“ შემადგენლობაში პირველი გოლი ჯარიმიდან გაიტანა და თან იმ ქომაგების წინაშე, რომლებიც მზად არიან, მისი ფეხბურთის სანახავად ყველაზე მეტი გადაიხადონ. ყველაფერი იდეალურად გამოვიდა, თითქოს რეკლამის სიუჟეტი გაცოცხლდაო“.

**პაპუნა ძედია**

# აპერტურა დაიწყო
## თავგასამ და ცხვირამ ერთმანეთს დააყარეს

### არგენტინა

#### აპერტურა. I ტური

**სან ლორენსო — ჩაკარიტა 1:2; კოლონი — რასინგი 0:0; არსენალი — ტალიერესი 1:1; ბანფილდი — ოლდ ბოიზი 0:0; როსარიო — ველესი 2:1; ხიმნასია — ბოკა ხუნიორსი 0:1; ოლიმპო — ლანუსი 2:2; კუილმესი — ატლეტიკო რაფაელა 3:1; რივერ პლეიტი — ნუევა ჩიკაგო 2:1; ინდეპენდიენტე — ესტუდიანტესი 3:1**

**არგენტინაში** ცოტა შეისვენეს კლაუსურას შემდეგ და ამ უქმეებზე აპერტურა დაიწყო.

კარლოს სალვადორ ბილარდომ, სახალხოდ ცნობილმა როგორც „ნარიგონი“ (ცხვირა) და აქყარნდელი თანამდებობით „ესტუდიანტესის“ მწვრთნელმა პირველი მარცხი იწვნია ამ პოსტზე ბილარდო კლაუსურას შუაში ჩაუდგა სათავეში ლა პლატელთა გუნდს და ცხრა თამაში წაუგებლად ატარა.

აპერტურას პირველივე მატჩში კი „ესტუდიანტესი“ „ინდეპენდიენტესთან“ 1:3 დამარცხდა. „ინდეპენდიენტე“, რომელიც შარშან აპერტურას ჩემპიონი იყო, ოღონდ კლაუსურა ჩააგდო, ახლა „კაბესონად“ (თავგასა) ცნობილი ოსკარ რუჯერის ხელქვეითაა. საინტერესოა, რომ კაბესონი სწორედ ნარიგონის ხელმძღვანელობით გახდა მსოფლიოს ჩემპიონი 1986 წელს.

ბილარდო ცნობილია თავისი ხისტი, ეშმაკური თამაშის მოყვარეობით და ასეთივეა რუჯერიც, ამიტომ მათი გუნდების მატჩი უხეში და წითელი ბარათებით გაწყობილი გამოვიდა.

„ინდეპენდიენტემ“ თამაში ცხრა კაცით დაასრულა, რახან კრისტიან ტავიო და ერნან ფრანკო გაუძევეს, თუმცა ლაპლატელებსაც მიუბრძანეს ხუან კრაუპოვიესა.

ყრმა ხერემიას კაჯიანომ ორი გოლი გაუტანა სტუმრებს, ამათ შორის კი მარკოს ძელაბერტმა შეაგდო, რითაც ერთადერთხელ გაათანაბრა ანგარიში ამ შეხვედრაში. მესამე კრისტიან ხიმენესისა იყო შეაგდო 82-ე წუთზე.

კლაუსურას ჩემპიონმა „რივერ პლეიტმა“, რომელმაც ევროპიდან დაბრუნებული ჩილელი, მარსელო სალასი დაიმატა, ძლივს მოუგო „ნუევა ჩიკაგოს“, 2:1. თანაც ისე, რომ თავიდან აგებდა.

„ბოკა ხუნიორსმა“ 89-ე წუთზე სებასტიან ბატალიას გატანილი გოლით დაამარცხა „ხიმნასია ლა პლატა“.

**ონორიო ბუსტოს დომეძი**

### ამხანაგური მატჩები

**ნიუკასლი (ინგლისი) 2:2 ბაიერნი (გერმანია)**

1:0 შირერი (39), 1:1 პარგრივსი (60), 2:1 შირერი (85), 2:2 პიზარო (89)

ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, ობრაიენი, ბრემბლი, ბერნარი, დაიერი, რობერი, ხპიდი, ბოიერი (სოლანო 67), შირერი, ბელამი (ამეობი 61)

მწვრთნელი: ბობი რობსონი

ბაიერნი: რენსინგი, ლელი, სანიოლი, რ. კოვაჩი (შვაინშტაიგერი 46), ლიზარაზუ, ფიულნერი (სალიჰამიჯიჩი 46), იერემისი, ბალაკი (ტროხოვსკი 70), პარგრივსი (ფინკი 70), შოლი, ელბერი (კ. პიზარო 46)

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

32 277 მაყურებელი

**რეინჯერსი (შოტლანდია) 0:3 არსენალი (ინგლისი)**

0:1 ედუ (31), 0:2 ლორენი (47პ), 0:3 კემპბელი (58)

რეინჯერსი: შ. კლოსი, მორის როსი (მუხკატი 81), კ. მური, მალკოლმი, ბოლი, ბ. ფერგიუსონი (ბარკი 62), არტეტა (ს. პიუზი 46), ნერლინგერი, ს. ტომპსონი, რ. დე ბური (ს. სმიტი 81), ლოვენკრანდსი (მოლსი 46)

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

არსენალი: ლემანი, ლორენი (კლიჩი 79), ს. კემპბელი (სიგანი 62), კ. ტურე, ეშლი კოული, პარლოუ (ვან ბრონკჰორსტი 46), ვიეირა (პენანტი 62), ედუ, ლიუნგბერგი (პალსი 79), ბერხკამპი (ალიადირი 79), ჟილბერტო... ჯიფერსი (კანუ 62)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

37 000 მაყურებელი

**ნეკაქსა (მექსიკა) 1:1 რომა (იტალია)**

**უოლსოლი (ინგლისი) 1:3 ბირმინგემი (ინგლისი)**

**სკანთორპი (ინგლისი) 0:3 ასტონ ვილა (ინგლისი)**

**პორტსმუთი (ინგლისი) 1:0 ბრენტფორდი (ინგლისი)**

**აბერდინი (შოტლანდია) 1:5 ლივერპული (ინგლისი)**

**ლივინგსტონი (შოტლანდია) 2:0 ფულემი (ინგლისი)**

**უოტფორდი (ინგლისი) 1:4 ჩელსი (ინგლისი)**

**როდა (ჰოლანდია) 2:0 ევერტონი (ინგლისი)**

# ირურეტამ საქმე ვითომ მოაგვარა? არ არის მაკაი, იქნება პანდიანი!

*ხავიერ ირურეტა „დეპორტივოში“ თავისი მწვრთნელობის მე-6 სეზონს ჩვეული საბრძოლო განწყობით ელის. ბასკი დამრიგებლის აზრით, გუნდიდან პრიმერადივიზიონის მთავარი ბომბარდირის როი მაკაის წასვლის შემდეგაც გალისიელებს გოლების გატანა არ გაუჭირდებათ. ირურეტას ესპანური „მარკას“ ჟურნალისტი გაესაუბრა*






ხავიერ ირურეტა თითს ვალტერ პანდიანისკენ იშვერს

— ამ რამდენიმე ხნის წინ განაცხადეთ, რომ „დეპორტივოში“ მაკაის ადგილს ვალტერ პანდიანი დაიკავებდა.

— დიახ, ეს ვთქვი და ასეც იქნება, რადგან ის შესანიშნავი პროფესიონალი და ჩვენი გუნდის ოდინდელი წევრია. პანდიანი „მალიორკასთვის“ მეტად ძვირფასი იყო. მერწმუნეთ, „დეპორში“ ურუგვაელის დაბრუნების ცნობას კუნძულელება კმაყოფილებით ნამდვილად არ მიიღებდნენ.

— დიეგო ტრისტანი, პანდიანი, ლუკე — მიუხედავად „დეპორში“ ამ სნაიპერთა ყოფნისა, როი მაკაის გოლებს მაინც მოისაკლისებთ?

— ჩვენში გოლების გატანა თქვენ რომ დაასახელეთ იმ ხალხის გარდა სხვა ბევრსაც შეუძლია. ნახევარდაცვისა და დაცვის ხაზს შეტევაც ჩინებულად ეხერხება. ალბათ ამ ბიჭების მონდომება მაკაის დანაკლისს აგვინაზღაურებს.

— მაგრამ ახლა ისევ სამი თავდამსხმელი, ანუ კვლავ სახიფათო „გალისიური სამკუთხედი“ გეყოლებათ, რაც გასული სეზონის პრობლემათა განმეორების საფრთხეს შექმნის. ასეთ მობურთალთა სათანადოდ განაწილება ალბათ ხავიერ ირურეტასთვისაც ძნელი საქმე იქნება.

— ვეცდები, ისინი შესაძლებლობისდა მიხედვით ვათამაშო. თითოეულ მათგანს თავისი შანსი მიეცემა და თან მაშინ, როდესაც საუკეთესო ფორმაში იქნებიან. რასაკვირველია, ამაში ცოტათი საფეხბურთო ფორტუნაც უნდა დამეხმაროს.

— სეზონთაშორისს როგორ შეაფასებდით?

— მთელი დატვირთვით ვვარჯიშობთ და „დეპორტივო“ მომავალი ჩემპიონატისთვის უკვე მზადაა. მინდა, ყველამ იცოდეს, რომ ჩემი გუნდით ვამაყობ და პრიმერადივიზიონში თუ სხვა ტურნირებში მისი დიდი იმედი მაქვს.

## ფეხბურთის რუკასთან

**სენეგალელი** ჰაბიბ ბეიე მილიონ ორასი ათასი ევროს სანაცვლოდ მარსელის „ოლიმპიკს“ შეუერთდება და კლუბთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ამის შესახებ პრესას „სტრასბურის“ პრეზიდენტმა ეჟონ დორვმა ამცნო. 25 წლის აფრიკელი მცველი ბოლო ხუთი წლის მანძილზე სწორედ „სტრასბურის“ ღირსებას იცავს. სავარაუდოდ ბეიეს დებიუტი საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე ტურშივე შედგება, „მარსელი“ „ოსერს“ უმასპინძლებს.

**ეგვიპტელმა** მცველმა ჰანი რამზიმ მძიმე ტარვმა მიიღო. „კაიზერსლაუტერნის“ 34 წლის ვეტერანმა ბუნდესლიგის პირველი ტურის მატჩში მუხლი დაიზიანა და, როგორც შემდგომში გაირკვა, ოპერაციის გადატანა მოუწევს. ამბობენ, რამზი დაახლოებით ექვს თვეს ველარ დაეხმარება „წითელ ეშმაკებსო“.

**ინგლისის** ვიცე-ჩემპიონმა ლონდონის „არსენალმა“ საფრანგეთის მეორე დივიზიონის „კანიდან“ ჟოელ კლიჩი შეიძინა. 18 წლის მცველს „მეთოფეები“ საკმაო ხანს აკვირდებოდნენ და საბოლოოდ მისი გუნდში დატოვება გადაწყვიტეს. „კლიჩმა ბრწყინვალედ ჩაატარა მოსამზადებელი პერიოდი და დაგვარწმუნა თავის შესაძლებლობებში“ — ამბობს არსენ ვენგერი. ახალგაზრდა ფრანგი წლეულს „მეთოფეთა“ მეორე შენაძენია გერმანელი მეკარე იენს ლემანის შემდეგ.

**ესპანურმა** „ვილიარეალმა“ კიდევ ერთი მოთამაშე დაიმატა. ბენიტო ფლოროს გუნდში ამჯერად როხერ გარსია გადაბარგდა. ეს უკანასკნელი ბოლო ორი წლის მანძილზე „ესპანიოლში“ თამაშობდა, ხოლო იქამდე მეორე კატალონიურ კლუბ „ბარსელონაში“ ირიცხებოდა. შეგახსენებთ, რომ „ვილიარეალმა“ ცოტა ხნის წინ ფრანგული „ლიონიდან“ ბრაზილიელი სონი ანდერსონი შეიძინა. გარდა ამისა, ესპანურმა კლუბმა „მილანისგან“ ხოსე მარი და ფაბრიციო კოლოჩინი ინათხოვრა.

**ინგლისური** „სანდერლენდი“ შესაძლოა კევინ ფილიპსის გარეშე დარჩეს. მას შემდეგ, რაც „ლაითის“ ბინადარნი პრემიერლიგიდან გავარდნენ, სერიოზულ პრობლემებს გადააწყდნენ. კლუბი წამყვან მოთამაშეებს ველარ ინარჩუნებს, რადგანაც ფეხბურთელებს პირველ დივიზიონში თამაში არ სურთ და არც „სანდერლენდის“ ფინანსური მდგომარეობაა სახარბიელო. ფილიპსით, რომელიც ერთ დროს პრემიერლიგაში გოლს გოლზე იტანდა და საუკეთესო ბომბარდირიც იყო, „საუთჰემტონია“ დაინტერესებული. „წმინდანები“ „სანდერლენდს“ 30 წლის ფორვარდის სანაცვლოდ 3 მილიონ ფუნტს სთავაზობენ. „ყველაფერი ორ-სამ დღეში გაირკვევა. ჯერჯერობით ზოგიერთი საკითხი მოსაგვარებელია. ჩვენ გორდონ სტრაჩანს, „საუთჰემპტონის“ მწვრთნელს შევხვდებით და საბოლოო გადაწყვეტილებას ამის მერე მივიღებთ“ — განაცხადა ფილიპსის აგენტმა ფილ სმიტმა.

**ჰოლანდიური** „აიაქსის“ სპორტულმა დირექტორმა არი ვან ეიდენმა განაცხადა, რომ ამსტერდამული კლუბი რაფაელ ვან დერ ვაარტთან განშორებას არ აპირებს. „ჯერ კიდევ ზამთარში ჩვენ ყველაფერზე მოვილაპარაკეთ და დარწმუნებული ვარ, სულ ცოტა მომავალი სეზონის ბოლომდე რაფაელი გუნდში დარჩება“ — აღნიშნა ვან ეიდენმა. ვან დერ ვაარტით სერიოზულად არიან დაინტერესებულნი „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ლივერპული“. არი ვან ეიდენმა უარყო ხმები იმის შესახებაც, რომ „მანჩესტერში“ გუნდის კიდევ ერთი ფეხბურთელი, ტუნისელი ჰატემ ტრაბელსი არ გადავა.

**იტალიური** „რომა“ ვინჩენცო მონტელას მოისაკლისებს. რომაელები ახლა მექსიკაში იმყოფებიან და ახალი სეზონისთვის ემზადებიან. მონტელაც სწორედ იქ დაშავდა. რამდენად სერიოზულია მისი ტრავმა, ჯერჯერობით უცნობია, თუმც წინასწარი ინფორმაციით, თავდამსხმელი გუნდს სამი კვირით ჩამოშორდა. „მექსიკური ტურნე მონტელასთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ... იმედგაცრუებული ვარ“ — განაცხადა ფაბიო კაპელომ.



# რეალს სამურაიც უნდა იქნებ მენდიეტას ეშველოს



გაისკა მენდიეტა

გაისკა მენდიეტას იტალიური კოშმარი შესაძლოა დასასრულს მიუახლოვდეს — ამბობენ, მენდიეტამ მადრიდის „ატლეტიკოსთან“ პირადი ამბები უკვე შეათანხმაო. ერთი სიტყვით, ამ კვირის განმავლობაში ყველაფერი შესაძლოა დასრულდეს.

მენდიეტა 28 წლისაა. დიდი ხანი არ არის, რაც „ლაციოს“ ახლებურ, ხელფასშეკვეცილ კონტრაქტზე თანხმობა უთხრა, მაგრამ მაინც ისე ჩანდა, რომ გუნდის მწვრთნელის, რობერტო მანჩინის გეგმებში არ შედიოდა, ამიტომ მისი რომში ყოფნა ნამდვილი კოშმარი იქნებოდა.

შეგახსენებთ, რომ მენდიეტა „ლაციომ“ ორი წლის წინ ესპანური „ვალენსიასგან“ 40 მილიონ ევროდ იყიდა, მაგრამ ვერ გამოიყენა. მანამდე, „ვალენსიას“ შემადგენლობაში, მენდიეტამ ზედიზედ ორჯერ ითამაშა ჩემპიონთა ლიგის ფინალში. „ლაციოში“ პირველ სეზონში ერთობ იჯახირა, გასულში კი „ბარსელონას“ ათხოვეს, სადაც ასევე ვერ გამოიჩინა თავი.

და ბარემ, ვინაიდან ამ წერილში იტალიური და ესპანური კლუბების ამბებს შევეხეთ, ასევე განვაგრძოთ: იტალიური „რეჯინას“ იაპონელი მოთამაშე, შუნსუკე ნაკამურა მადრიდის „რეალში“ მიდის — 2004 წლის სეზონიდან ანუ შემდეგ ზაფხულს. თურმე „სამეფო გუნდი“ შარშან ამ დროსაც დაკავშირებია ნაკამურას, მაგრამ „რეჯინასთან“ ვერ გაარკვია ურთიერთობა.

ნაკამურა 25 წლისაა და წინა სეზონში თავი იმით გამოიჩინა, რომ „რეჯინას“ სერია A-ში დატოვებაში შეუწყო ხელი. გამთამაშებელმა ისეთი სახელი დაიგდო, რომ მისი გადაბირებით „პარმაც“ მეტისმეტად მოწადინებული გახლდათ, მაგრამ ახლა, „პარმასთან“ ვაჭრობის ექვსი თვის თავზე ამბობენ, რომ საქმეში თვით „რეალი“ ჩაერია და სერიოზულადაც.

**ბაკუნა ძიძია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერე რა, რომ წავაგეთ?!

## რაიკარდი თითქმის ტრაბახობს



*ამერიკული სეზონთაშორისი „ბარსელონამ“ საკმაო წარმატებით განვლო. „იუვენტუსთან“ და „მილანთან“ გამარჯვებული კატალონიური გრანდის შეჩერება ოდენ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ შეძლო. სამი შეხვედრის ჯამში შედეგი მაინც დადებითია და ფრანკ რაიკარდიც მომავალს იმედიანად შესცქერის. „ბარსას“ დამრიგებელს ესპანური „მარკას“ ჟურნალისტები გაესაუბრნენ*

**— „ბარსელონას“ ამერიკულ ტურნეს როგორ შეაფასებდით?**

— ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. მართალია, ზოგიერთი ფეხბურთელი ჩვეულებრივზე მეტად დაიქანცა, მაგრამ ეს უფრო დიდი შრომისმოყვარეობის გამო ხდება — ბიჭები მიზნის მისაღწევად თავდაუზოგავად ვარჯიშობენ. საქმიანი სეზონთაშორისის დროს მსგავსი რამ ნორმალური მოვლენაა. ყველაფერს კი ოკეანისგალმა დამღლელი მოგზაურობაც ერთვის. „ბარსასთვის“ იდეალური სიტუაცია არ ყოფილა, თუმცა ვეცდებით, რომ ამერიკულ მატჩებში მიღებული გამოცდილება სამომავლო გამარჯვებებისთვის გამოვიყენოთ.

**— თქვენს სიტყვებში დიდი ოპტიმიზმი იგრძნობა...**

— დიახ, სწორად შეამჩნიეთ. და არა მარტო მე, არამედ მთელი „ბარსელონა“ საბრძოლო შემართებითაა აღსავსე. ფეხბურთელები, მწვრთნელები, ტექნიკური პერსონალი, მმართველთა საბჭო — ყველა, ვინც კი კატალონიურ ფლაგმანთან რაიმეთი ვართ დაკავშირებული — პრეზიდენტ ლაპორტადან დაწყებული, სტადიონის უბრალო მუშამდე, ჩვენი გუნდის გასაძლიერებლად და ძველი დიდების აღსადგენად ვიღვწით. შეუძლებელია, ამან შედეგი არ გამოიღოს.

**— „იუვე“, „მილანი“, „მანჩესტერი“ — სამ დიდ შეხვედრაში „ბარსამ“ მარტო ინგლისელებს დაუთმო მატჩის სადავეები.**

— ჩვენ უფრო მეტიც შეგვიძლია. კი, „მანჩესტერთან“ წავაგეთ, მაგრამ გუნდის შესაძლებლობებზე დაკვირვებისა და თამაშის გაუმჯობესების მხრივ ეს ფრიად საგულისხმო თამაში გახლდათ. შემდეგში უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებსაც დავამარცხებთ.

**— მიღწეული შედეგით კმაყოფილი ხართ?**

— წაგებულ თამაშს დადებითად არასოდეს ვაფასებ. მიუხედავად ამისა, მინდა, „ბარსელონას“ გულითადი მადლობა ვუთხრა, ამერიკაში ყველა ფეხბურთელმა თავისი საქმე კარგად გააკეთა. „მანჩესტერ იუნაიტედთან“ დამარცხებაზე კი არ შევჩერდები, უბრალოდ გეტყვით, რომ მსგავსი დონის გუნდთან წაგება კატასტროფის ტოლფასი ნამდვილად არ არის.

**— ფერგიუსონის კლუბთან შერკინებისას პირველ ტაიმში მოედანზე ტაქტიკური გადაადგილებები მოახდინეთ.**

— ორი თავდამსხმელითა და ერთი წინ წაწეული ნახევარმცველით ვითამაშეთ. პირველ ნახევარში მეტოქის კართან რამდენიმე სახიფათო ეპიზოდიც შეიქმნა, თუმცა პირადად მე მეორე ტაიმი უფრო მომეწონა.

**— მოედანზე კლუივერტის, სავიოლასა და რონალდინიოსთანა მობურთალების ერთად და გრაციონალურად ამოქმედება „ბარსას“ დამრიგებელს ხომ არ გაუჭირდება?**

— არა მგონია, ახლა იმნაირ სისტემას ვხვეწთ, სადაც „ბარსელონას“ დიდი სამეული უპრობლემოდ თამაშს მოახერხებს. „იუნაიტედთან“ შეხვედრაში მათი შესრულებით ბევრი მიმზიდველი კომბინაცია გათამაშდა და იმედი მაქვს, მომავალშიც მოედანზე მათი ერთობლივი საქმიანობა რაიმე სიძნელეებს არ წააწყდება.

**— ესე იგი, მოედნის წინა ხაზზე სავარაუდო ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ?**

— ჯერჯერობით ამაზე ვერ გიპასუხებთ.

**— ფიქრობთ, რომ ამ გუნდთან ერთად წარმატებებს მიაღწევთ?**

— რაც „ბარსას“ მწვრთნელი გავხდი, უამრავი დადებითი რამ მოხდა. როგორც უკვე გითხარით, ფეხბურთელებს საბრძოლო განწყობა ეტყობათ, მიუხედავად იმისა, რომ სულ სამი ამხანაგური შეხვედრა ჩავატარეთ.

**— კატალონიურმა კლუბმა „იუვეს“ თავისი ძალა უჩვენა...**

— თოთხმეტი საგოლე სიტუაცია შევქმენით, რასაც იტალიელებმა ოდენ რვა დაუპირისპირეს. თანაც გეტყვით, რომ ეს ჩვენი საფეხბურთო ზღვარი არ არის და მიღწეულზე შეჩერებას არ ვაპირებთ.

**— რონალდინიოზე რას გვეტყვით?**

— მშვიდი და სასიამოვნო ხასიათის ბიჭია, კატალონიურ ადაპტაციას კარგად გადის. ყველამ იცის, „ბარსელონას“ გასაცნობად და შესაჩვევად მცირე ხანი არ კმარა, თუმცა ერთი რამ თავიდანვე ცხადია — მის უნარში ეჭვი არავის ეპარება.



# რივალდო რონალდინიოს თავდებში დაუდგა კაცი, რომელიც იცინის ბურთით

*ახლა „ბარსელონას“ ყველაზე პოპულარული წევრი და მბრწყინავი მარგალიტი რონალდო დაასის მორეირა გახლავთ. ამერიკაში სასეზონთაშორისო ვიზიტისას გოლების გატანაც მოახერხა და იანკი მაყურებლის გულის მოგებაც. იგი კი უპირველეს ყოვლისა მაინც ბრაზილიელია, ცეცხლოვანი თამაშის, გართობისა და სამბას ერთგული თაყვანისმცემელი. სწორედ ამ მადლიანი საცეკვაო მუსიკის მოსმენის ჟამს მოიხელთა კატალონიურმა „სპორტმა“ ფილადელფიის აეროპორტში ესპანეთში გამგზავრების მომლოდინე რონალდინიო*

**— ეტყობა, კარნავალები ძლიერ მოგწონთ.**

— ჩემს ქვეყანაში კარნავალები და სამბა ყველას მოსწონს და ამას უცნაურად არავინ მიიჩნევს. ეს ბრაზილიური კულტურის განუყოფელი ნაწილია.

**— როგორია „ბრაზილეიროს“ პირველი შთაბეჭდილებანი „ბარსას“ შესახებ?**

— დიდებული! თუკი ყველაფერი ასე გაგრძელდა, რაც „ბარსელონაში“ ჩემი კარიერის დასაწყისში ხდება, მერწმუნეთ, უზარმაზარ წარმატებებს მივაღწევთ. უკვე გავიცანი გუნდის ყველა მოთამაშე, როგორც მინდორზე საქმიანობის დროს, ისე პირად ურთიერთობაში და მინდა, გითხრათ, რომ ძალიან კარგად მიმიღეს. კატალონიელთა მობურთალებით აღფრთოვანებული ვარ. რომ არა მათი სტუმართმოყვარეობა, ესოდენ დიდ კლუბში ადაპტაცია გამიჭირდებოდა.

**— ყველაზე კარგი ურთიერთობა მარკესთან გაკავშირებთ. თქვენი თანაკლუბელი საფრანგეთში გაიცანით?**

— რაფაელთან ერთად „ნაიკის“ სარეკლამო კამპანიაში ვმონაწილეობდი. ჩემი კარგი მეგობარია, ერთად იმდენი რამ გადაგვხდენია...

**— დარწმუნებული ვარ, თქვენი ხასიათიდან გამომდინარე „ბარსას“ შემადგენლობას ადვილად შეეწყობოდით. ახალ „კომპანიეროებთან“ სათამაშო მოედანზეც ასე შეხმატკბილებული ხართ?**

— რა თქმა უნდა, თუმც ბევრი ჯაფა მოგვიწევს, ვიდრე ტიტულებს მოვიპოვებთ. დიდ გამარჯვებებს „ბარსელონა“ ნამდვილად იმსახურებს. აქაური ბიჭებისთვის ოქროს გულებთან ერთად საფეხბურთო ოსტატობაც ჭარბად მიუმადლებია განგებას. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში უძლიერეს გუნდებს შევერკინეთ, ჩვენსაზე გაცილებით უფრო დალვინებული და შეკრული სტილის მქონეებს, „კამპ ნოუზე“ მაინც ორი გამარჯვებითა და მხოლოდ ერთი წაგებით ვბრუნდებით. ეს კი საწყის ეტაპზე ურიგოდ არ მეჩვენება.

**— რივალდომ რონალდინიოს კატალონიური ტრანსფერი მოიწონა და მის საფეხბურთო ჯადოქრობას თავდებადაც დაუდგა...**

— არც მასთან და არც რონალდოსთან არ მისაუბრია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემი გადაწყვეტილებით კმაყოფილნი არიან. „მილანთან“ თამაშის შემდეგ კი კაფუმ, როკე ჟუნიორმა და დიდამ სულით და გულით მომილოცეს „ბარსელონაში“ გადასვლა. რივალდოს შეფასება ჩემთვის ძვირფასია, რადგან იგი ბრაზილიისა და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მობურთალია. გამოგიტყდებით და, ამ ტრანსფერმა მეც ძალიან გამახარა.

**— ხომ ვერ გვეტყვით, რატომ?**

— იმიტომ, რომ კატალონიაში როგორც „კამპ ნოუზე“, ისე, მის გარეთაც, ბედნიერი ვარ. იმიტომ, რომ პრიმერადივიზიონში თამაში ჩემი საფეხბურთო სტილისთვის ზედგამოჭრილი იქნება, იმიტომ, რომ ესპანეთი თავისი ტრადიციებითა და კულტურით უფრო ახლოს დგას ბრაზილიასთან, ვიდრე ფრანგული პარიზი. შემიძლია, კიდევ მრავალი მიზეზი გითხრათ ჩემი ბარსელონაში ჩამოსვლისა.

**— საკმარისია! ასაკის მატებასთან ერთად თქვენს ჯადოსნურ ღიმილს ხომ არ დაკარგავთ?**

— არა, არასოდეს. ყოველ შემთხვევაში, თუ ბურთთან შეხებას არ ამიკრძალავთ, ღიმილიც და ბედნიერებაც თავის ადგილზე იქნება. ჩემი ცხოვრება ფეხბურთის გარეშე ვერ წარმომიდგენია.

**— და კარნავალი და სამბა?**

— იქ, სადაც კარნავალი და სამბა არ არის, არც მხიარულებაა. უმუსიკოდ ალბათ უბედური ვიქნებოდი.



# ესპანეთი. პრიმერადივიზიონი. 2003-2004

**1-ლი ტური. 31 აგვისტო, 2003**
ალბასეტე — ოსასუნა
ბილბაო — ბარსელონა
სელტა — მურსია
ესპანიოლი — სოსიედადი
რასინგი — მალიორკა
რეალი — ბეტისი
სევილია — ატლეტიკო
ვალენსია — ვალიადოლიდი
სარაგოსა — დეპორტივო
მალაგა — ვილიარეალი

**მე-2 ტური. 3 სექტემბერი**
ატლეტიკო — ალბასეტე
ბარსელონა — სევილია
ბეტისი — ესპანიოლი
დეპორტივო — ბილბაო
სოსიედადი — სელტა
ვალიადოლიდი — მალაგა
მალიორკა — სარაგოსა
ოსასუნა — ვალენსია
ვილიარეალი — რეალი
მურსია — რასინგი

**მე-3 ტური. 14 სექტემბერი**
ალბასეტე — ბარსელონა
ბილბაო — მალიორკა
სელტა — ბეტისი
ესპანიოლი — ვილიარეალი
რასინგი — სოსიედადი
რეალი — ვალიადოლიდი
სევილია — დეპორტივო
ვალენსია — მალაგა
სარაგოსა — მურსია
ოსასუნა — ატლეტიკო

**მე-4 ტური. 21 სექტემბერი**
ატლეტიკო — ვალენსია
ბარსელონა — ოსასუნა
ბეტისი — რასინგი
დეპორტივო — ალბასეტე
სოსიედადი — სარაგოსა
ვალიადოლიდი — ესპანიოლი
მალიორკა — სევილია
ვილიარეალი — სელტა
მურსია — ბილბაო
მალაგა — რეალი

**მე-5 ტური. 28 სექტემბერი**
ალბასეტე — მალიორკა
ატლეტიკო — ბარსელონა
ბილბაო — სოსიედადი
სელტა — ვალიადოლიდი
ესპანიოლი — მალაგა
რასინგი — ვილიარეალი
სევილია — მურსია
ვალენსია — რეალი
სარაგოსა — ბეტისი
ოსასუნა — დეპორტივო

**მე-6 ტური. 5 ოქტომბერი**
ბარსელონა — ვალენსია
ბეტისი — ბილბაო
დეპორტივო — ატლეტიკო
რეალი — ესპანიოლი
სოსიედადი — სევილია
ვალიადოლიდი — რასინგი
მალიორკა — ოსასუნა
ვილიარეალი — სარაგოსა
მურსია — ალბასეტე
მალაგა — სელტა

**მე-7 ტური. 19 ოქტომბერი**
ალბასეტე — სოსიედადი
ბილბაო — ვილიარეალი
ატლეტიკო — მალიორკა
ბარსელონა — დეპორტივო
სელტა — რეალი
რასინგი — მალაგა
სევილია — ბეტისი
ვალენსია — ესპანიოლი
სარაგოსა — ვალიადოლიდი
ოსასუნა — მურსია

**მე-8 ტური. 26 ოქტომბერი**
ბეტისი — ალბასეტე
დეპორტივო — ვალენსია
ესპანიოლი — სელტა
რეალი — რასინგი
სოსიედადი — ოსასუნა
ვალიადოლიდი — ბილბაო
მალიორკა — ბარსელონა
ვილიარეალი — სევილია
მურსია — ატლეტიკო
მალაგა — სარაგოსა

**მე-9 ტური. 29 ოქტომბერი**
ალბასეტე — ვილიარეალი
ბილბაო — მალაგა
ატლეტიკო — სოსიედადი
ბარსელონა — მურსია
დეპორტივო — მალიორკა
რასინგი — ესპანიოლი
სევილია — ვალიადოლიდი
ვალენსია — სელტა
სარაგოსა — რეალი
ოსასუნა — ბეტისი

**მე-10 ტური. 2 ნოემბერი**
ბეტისი — ატლეტიკო
სელტა — რასინგი
ესპანიოლი — სარაგოსა
რეალი — ბილბაო
სოსიედადი — ბარსელონა
ვალიადოლიდი — ალბასეტე
მალიორკა — ვალენსია
ვილიარეალი — ოსასუნა
მურსია — დეპორტივო
მალაგა — სევილია

**მე-11 ტური. 9 ნოემბერი**
ალბასეტე — მალაგა
ბილბაო — ესპანიოლი
ატლეტიკო — ვილიარეალი
ბარსელონა — ბეტისი
დეპორტივო — სოსიედადი
სევილია — რეალი
ვალენსია — რასინგი
სარაგოსა — სელტა
მალიორკა — მურსია
ოსასუნა — ვალიადოლიდი

**მე-12 ტური. 23 ნოემბერი**
ბეტისი — დეპორტივო
სელტა — ბილბაო
ესპანიოლი — სევილია
რასინგი — სარაგოსა
რეალი — ალბასეტე
სოსიედადი — მალიორკა
ვალიადოლიდი — ატლეტიკო
ვილიარეალი — ბარსელონა
მურსია — ვალენსია
მალაგა — ოსასუნა

**მე-13 ტური. 30 ნოემბერი**
ალბასეტე — ესპანიოლი
ბილბაო — რასინგი
ატლეტიკო — მალაგა
ბარსელონა — ვალიადოლიდი
დეპორტივო — ვილიარეალი
სევილია — სელტა
ვალენსია — სარაგოსა
მალიორკა — ბეტისი
ოსასუნა — რეალი
მურსია — სოსიედადი

**მე-14 ტური. 3 დეკემბერი**
ბეტისი — მურსია
სელტა — ალბასეტე
ესპანიოლი — ოსასუნა
რასინგი — სევილია
რეალი — ატლეტიკო
სოსიედადი — ვალენსია
ვალიადოლიდი — დეპორტივო
სარაგოსა — ბილბაო
ვილიარეალი — მალიორკა
მალაგა — ბარსელონა

**მე-15 ტური. 7 დეკემბერი**
ალბასეტე — რასინგი
ატლეტიკო — ესპანიოლი
ბარსელონა — რეალი
დეპორტივო — მალაგა
სოსიედადი — ბეტისი
სევილია — სარაგოსა
ვალენსია — ბილბაო
მალიორკა — ვალიადოლიდი
ოსასუნა — სელტა
მურსია — ვილიარეალი

**მე-16 ტური. 14 დეკემბერი**
ბილბაო — სევილია
ბეტისი — ვალენსია
სელტა — ატლეტიკო
ესპანიოლი — ბარსელონა
რასინგი — ოსასუნა
რეალი — დეპორტივო
ვალიადოლიდი — მურსია
სარაგოსა — ალბასეტე
ვილიარეალი — სოსიედადი
მალაგა — მალიორკა

**მე-17 ტური. 21 დეკემბერი**
ალბასეტე — ბილბაო
ატლეტიკო — რასინგი
ბარსელონა — სელტა
ბეტისი — ვილიარეალი
დეპორტივო — ესპანიოლი
სოსიედადი — ვალიადოლიდი
ვალენსია — სევილია
მალიორკა — რეალი
ოსასუნა — სარაგოსა
მურსია — მალაგა

**მე-18 ტური. 4 იანვარი, 2004**
ბილბაო — ოსასუნა
სელტა — დეპორტივო
ესპანიოლი — მალიორკა
რასინგი — ბარსელონა
რეალი — მურსია
სევილია — ალბასეტე
ვალიადოლიდი — ბეტისი
ვალენსია — ვილიარეალი
სარაგოსა — ატლეტიკო
მალაგა — სოსიედადი

**მე-19 ტური. 11 იანვარი**
ალბასეტე — ვალენსია
ატლეტიკო — ბილბაო
ბარსელონა — სარაგოსა
ბეტისი — მალაგა
დეპორტივო — რასინგი
სოსიედადი — რეალი
მალიორკა — სელტა
ოსასუნა — სევილია
ვილიარეალი — ვალიადოლიდი
მურსია — ესპანიოლი

**მე-20 ტური. 18 იანვარი**
ატლეტიკო — სევილია
ბარსელონა — ბილბაო
ბეტისი — რეალი
დეპორტივო — სარაგოსა
სოსიედადი — ესპანიოლი
ვალიადოლიდი — ვალენსია
მალიორკა — რასინგი
ოსასუნა — ალბასეტე
ვილიარეალი — მალაგა
მურსია — სელტა

**21-ე ტური. 25 იანვარი**
ალბასეტე — ატლეტიკო
ბილბაო — დეპორტივო
სელტა — სოსიედადი
ესპანიოლი — ბეტისი
რასინგი — მურსია
რეალი — ვილიარეალი
სევილია — ბარსელონა
ვალენსია — ოსასუნა
სარაგოსა — მალიორკა
მალაგა — ვალიადოლიდი

**22-ე ტური. 1 თებერვალი**
ატლეტიკო — ოსასუნა
ბარსელონა — ალბასეტე
ბეტისი — სელტა
დეპორტივო — სევილია
სოსიედადი — რასინგი
ვალიადოლიდი — რეალი
მალიორკა — ბილბაო
ვილიარეალი — ესპანიოლი
მურსია — სარაგოსა
მალაგა — ვალენსია

**23-ე ტური. 8 თებერვალი**
ალბასეტე — დეპორტივო
ბილბაო — მურსია
სელტა — ვილიარეალი
ესპანიოლი — ვალიადოლიდი
რასინგი — ბეტისი
რეალი — მალაგა
სევილია — მალიორკა
ვალენსია — ატლეტიკო
სარაგოსა — სოსიედადი
ოსასუნა — ბარსელონა

**24-ე ტური. 15 თებერვალი**
ბარსელონა — ატლეტიკო
ბეტისი — სარაგოსა
დეპორტივო — ოსასუნა
რეალი — ვალენსია
სოსიედადი — ბილბაო
ვალიადოლიდი — სელტა
მალიორკა — ალბასეტე
ვილიარეალი — რასინგი
მურსია — სევილია
მალაგა — ესპანიოლი

**25-ე ტური. 22 თებერვალი**
ალბასეტე — მურსია
ბილბაო — ბეტისი
ატლეტიკო — დეპორტივო
სელტა — მალაგა
ესპანიოლი — რეალი
რასინგი — ვალიადოლიდი
სევილია — სოსიედადი
ვალენსია — ბარსელონა
სარაგოსა — ვილიარეალი
ოსასუნა — მალიორკა

**26-ე ტური. 29 თებერვალი**
ბეტისი — სევილია
დეპორტივო — ბარსელონა
ესპანიოლი — ვალენსია
რეალი — სელტა
სოსიედადი — ალბასეტე
ვალიადოლიდი — სარაგოსა
მალიორკა — ატლეტიკო
ვილიარეალი — ბილბაო
მურსია — ოსასუნა
მალაგა — რასინგი

**27-ე ტური. 7 მარტი**
ალბასეტე — ბეტისი
ბილბაო — ვალიადოლიდი
ატლეტიკო — მურსია
ბარსელონა — მალიორკა
სელტა — ესპანიოლი
რასინგი — რეალი
სევილია — ვილიარეალი
ვალენსია — დეპორტივო
სარაგოსა — მალაგა
ოსასუნა — სოსიედადი

**28-ე ტური. 14 მარტი**
ბეტისი — ოსასუნა
სელტა — ვალენსია
ესპანიოლი — რასინგი
რეალი — სარაგოსა
სოსიედადი — ატლეტიკო
ვალიადოლიდი — სევილია
მალიორკა — დეპორტივო
ვილიარეალი — ალბასეტე
მურსია — ბარსელონა
მალაგა — ბილბაო

**29-ე ტური. 21 მარტი**
ალბასეტე — ვალიადოლიდი
ბილბაო — რეალი
ატლატიკო — ბეტისი
ბარსელონა — სოსიედადი
დეპორტივო — მურსია
რასინგი — სელტა
სევილია — მალაგა
ვალენსია — მალიორკა
სარაგოსა — ესპანიოლი
ოსასუნა — ვილიარეალი

**30-ე ტური. 28 მარტი**
ბეტისი — ბარსელონა
სელტა — სარაგოსა
ესპანიოლი — ბილბაო
რასინგი — ვალენსია
რეალი — სევილია
სოსიედადი — დეპორტივო
ვალიადოლიდი — ოსასუნა
ვილიარეალი — ატლეტიკო
მურსია — მალიორკა
მალაგა — ალბასეტე

**31-ე ტური. 4 აპრილი**
ალბასეტე — რეალი
ბილბაო — სელტა
ატლეტიკო — ვალიადოლიდი
ბარსელონა — ვილიარეალი
დეპორტივო — ბეტისი
სევილია — ესპანიოლი
ვალენსია — მურსია
სარაგოსა — რასინგი
მალიორკა — სოსიედადი
ოსასუნა — მალაგა

**32-ე ტური. 11 აპრილი**
ბეტისი — მალიორკა
სელტა — სევილია
ესპანიოლი — ალბასეტე
რასინგი — ბილბაო
რეალი — ოსასუნა
სოსიედადი — მურსია
ვალიადოლიდი — ბარსელონა
სარაგოსა — ვალენსია
ვილიარეალი — დეპორტივო
მალაგა — ატლეტიკო

**33-ე ტური. 18 აპრილი**
ალბასეტე — სელტა
ბილბაო — სარაგოსა
ატლეტიკო — რეალი
ბარსელონა — მალაგა
დეპორტივო — ვალიადოლიდი
სევილია — რასინგი
ვალენსია — სოსიედადი
მალიორკა — ვილიარეალი
ოსასუნა — ესპანიოლი
მურსია — ბეტისი

**34-ე ტური. 25 აპრილი**
ბილბაო — ვალენსია
ბეტისი — სოსიედადი
სელტა — ოსასუნა
ესპანიოლი — ატლეტიკო
რასინგი — ალბასეტე
რეალი — ბარსელონა
ვალიადოლიდი — მალიორკა
სარაგოსა — სევილია
ვილიარეალი — მურსია
მალაგა — დეპორტივო

**35-ე ტური. 2 მაისი**
ალბასეტე — სარაგოსა
ატლეტიკო — სელტა
ბარსელონა — ესპანიოლი
დეპორტივო — რეალი
სოსიედადი — ვილიარეალი
სევილია — ბილბაო
ვალენსია — ბეტისი
მალიორკა — მალაგა
ოსასუნა — რასინგი
მურსია — ვალიადოლიდი

**36-ე ტური. 9 მაისი**
ბილბაო — ალბასეტე
სელტა — ბარსელონა
ესპანიოლი — დეპორტივო
რასინგი — ატლეტიკო
რეალი — მალიორკა
სევილია — ვალენსია
ვალიადოლიდი — სოსიედადი
სარაგოსა — ოსასუნა
ვილიარეალი — ბეტისი
მალაგა — მურსია

**37-ე ტური. 16 მაისი**
ალბასეტე — სევილია
ატლეტიკო — სარაგოსა
ბარსელონა — რასინგი
ბეტისი — ვალიადოლიდი
დეპორტივო — სელტა
სოსიედადი — მალაგა
მალიორკა — ესპანიოლი
ოსასუნა — ბილბაო
ვილიარეალი — ვალენსია
მურსია — რეალი

**38-ე ტური. 23 მაისი**
ბილბაო — ატლეტიკო
სელტა — მალიორკა
ესპანიოლი — მურსია
რასინგი — დეპორტივო
რეალი — სოსიედადი
სევილია — ოსასუნა
ვალიადოლიდი — ვილიარეალი
ვალენსია — ალბასეტე
სარაგოსა — ბარსელონა
მალაგა — ბეტისი



2003: მადრიდის „რეალი" პრიმერას ჩემპიონია!
2004: შეინარჩუნებენ ტიტულს?

სარბიელი და კროკო
წარმოგიდგენთ

კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

ინგლისი. I დივიზიონი

I ტური

9 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 001 | პრესტონი-ვესტ ჰემი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 002 | ბრედფორდი-ნორვიჩი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 003 | ბარნლი-კრისტალ პალასი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| 19.00 | 004 | დერბი-სტოკი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 005 | იფსვიჩი-რედინგი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 19.00 | 006 | მილუოლი-უიგანი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 007 | როტერჰემი-კარდიფი | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| 19.00 | 008 | შეფილდი-ჯილინგემი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 19.00 | 009 | უოლსოლი-ვესტ ბრომვიჩი | 2,7 | 3,3 | 2,35 | 1,48 | 1,25 | 1,37 |
| 19.00 | 010 | უოტფორდი-ქოვენტრი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 011 | უიმბლდონი-ქრიუ | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| 21.35 | 012 | ნოტინგემი-სანდერლენდი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |

ინგლისი. II დივიზიონი

I ტური

9 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 013 | ბარნსლი-კოლჩესტერი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 014 | ბრისტოლი-ნოტსი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 19.00 | 015 | ლუტონი-რაშდენი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 016 | ოლდემი-ბრაიტონი | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| 19.00 | 017 | პიტერბრო-ჰარტლპული | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 018 | პლიმუთი-გრიმსბი | 2,05 | 3,3 | 3,3 | 1,26 | 1,26 | 1,65 |
| 19.00 | 019 | პორტ ვეილი-ბორნმუთი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 020 | ქუინზ პარკი-ბლეკპული | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 19.00 | 021 | სუინდონი-უენსდი | 2,5 | 3,3 | 2,45 | 1,42 | 1,23 | 1,4 |
| 19.00 | 022 | ტრანმერი-ბრენტფორდი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 023 | რექსემი-ჩესტერფილდი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 024 | უიკომბი-სტოკპორტი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |

ინგლისი. III დივიზიონი

I ტური

9 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 025 | კარლაილი-იორკი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| 19.00 | 026 | ჰადერსფილდი-კემბრიჯი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 027 | ჰალი-დარლინგტონი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 19.00 | 028 | კიდერმინსტერი-მენსფილდი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 19.00 | 029 | ლეიტონი-დონკასტერი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 030 | ლინკოლნი-ოქსფორდი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 031 | მაკლსფილდი-ბოსტონი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 032 | ნორთჰემპტონი-ტორკი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 033 | როჩდეილი-იოვილი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 034 | სკანთორპი-როვერსი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 035 | საუთენდი-ჩელტენემი | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| 19.00 | 036 | სუონსი-ბერი | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |

შოტლანდია. პრემიერლიგა

I ტური

9 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 050 | დანფერმლაინი-სელტიკი | 9,0 | 4,6 | 1,3 | 3,04 | 1,13 | 1,01 |
| 16.30 | 051 | რეინჯერსი-კილმარნოკი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 052 | რეინჯერსი-კილმარნოკი 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |
| 19.00 | 053 | დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 054 | ჰართსი-აბერდინი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 055 | მოზერუელი-დანდი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 056 | პარტიკი-ლივინგსტონი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |

გერმანია. ბუნდესლიგა

II ტური

9 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 075 | ჰანოვერი-ბაიერნი | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| 18.30 | 076 | ფრაიბურგი-ჰანზა | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 18.30 | 077 | ვერდერი-მიონხენგლადბახი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 18.30 | 078 | კიოლნი-კაიზერსლაუტერნი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| 18.30 | 079 | მიუნხენი-შალკე | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| 18.30 | 080 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 18.30 | 081 | ბოხუმი-ჰამბურგი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 20.30 | 082 | შტუტგარტი-ჰერტა | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 20.30 | 083 | ფრანკფურტი-ლევერკუზენი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **II ტური** | | | | | | |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 23.45 | 114 | მარსელი-ოსერი | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 20.15 | 115 | ლილი-პსჟ | 2,5 | 2,9 | 2,8 | 1,34 | 1,32 | 1,42 |
| 23.00 | 116 | ლიონი-მონაკო | 1,95 | 3,1 | 3,8 | 1,19 | 1,28 | 1,7 |
| 23.00 | 117 | ბასტია-მეცი | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 23.00 | 118 | ბორდო-მონპელიე | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| 23.00 | 119 | ლე მანი-აიაჩო | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 23.00 | 120 | ნანტი-ლანსი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 23.00 | 121 | ნიცა-სოშო | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 23.00 | 122 | რენი-ტულუზი | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 23.00 | 123 | სტრასბური-გენგამი | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **I ტური** | | | | | | |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 23.30 | 135 | ბრიუგე-გენკი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 136 | ბრიუგე-გენკი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 23.00 | 137 | შარლერუა-ლიერსი | 2,7 | 3,3 | 2,35 | 1,48 | 1,25 | 1,37 |
| 23.00 | 138 | ბეერსხოტი-მონსი | 1,8 | 3,5 | 3,6 | 1,18 | 1,19 | 1,77 |
| 23.00 | 139 | ლოკერენი-სტ.ტრუიდენი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 23.00 | 140 | ანდერლეხტი-ანტვერპენი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 141 | ანდერლეხტი-ანტვერპენი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 23.00 | 142 | ვესტერლო-ლუვიე | 1,8 | 3,5 | 3,6 | 1,18 | 1,19 | 1,77 |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 143 | ჰეუსდენი-სერკლი | 2,1 | 3,5 | 3,0 | 1,31 | 1,23 | 1,61 |
| 18.00 | 144 | ბევერენი-გენტი | 2,3 | 3,5 | 2,6 | 1,38 | 1,22 | 1,49 |
| 23.00 | 145 | მუსკრონი-სტანდარდი | 2,5 | 3,4 | 2,4 | 1,44 | 1,22 | 1,4 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **IV ტური** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 149 | შტურმი-რაპიდი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **V ტური** | | | | | | |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 22.30 | 157 | გრასჰოპერი-სერვეტი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 22.30 | 158 | ქსამაქსი-ციურიხი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 22.30 | 159 | სტ.გალენი-თუნი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 22.30 | 160 | იანგ ბოიზი-ვილი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 22.30 | 161 | ბაზელი-აარაუ | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 163 | ბაზელი-აარაუ 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| | | **დანია. სუპერლიგა. III ტური** | | | | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 20.00 | 172 | ესბიერგი-კოპენჰაგენი | 2,8 | 3,3 | 2,3 | 1,51 | 1,26 | 1,35 |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 173 | ოლბორგი-ფრემი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| | 174 | ოლბორგი-ფრემი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 18.00 | 175 | ნორდსიელანდი-ოდენსე | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.00 | 176 | ჰერფიოლგე-ვიბორგი | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |
| 18.00 | 177 | მიდტიულანდი-აკადემისკი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 20.35 | 178 | ბრიონდბიუ-ორჰუსი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 179 | ბრიონდბიუ-ორჰუსი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **XVIII ტური** | | | | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 19.00 | 196 | ბრომაპოიკარნა-ბოდენსი | 1,65 | 3,6 | 4,6 | 1,13 | 1,21 | 2,01 |
| 19.00 | 197 | ფორვარდი-გეფლე | 2,5 | 3,4 | 2,4 | 1,44 | 1,22 | 1,4 |
| 19.00 | 198 | ფრიოლუნდა-ფალკენბერგი | 1,5 | 4,0 | 5,6 | 1,09 | 1,18 | 2,33 |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 199 | ოპერა-ატვიდაბერგი | 1,75 | 3,5 | 4,0 | 1,16 | 1,21 | 1,86 |
| 21.00 | 200 | იფკ მალმიო-ჰეკენი | 3,2 | 3,5 | 2,0 | 1,67 | 1,23 | 1,27 |
| 21.00 | 201 | ნორჩიოპინგი-ვესტეროსი | 1,85 | 3,4 | 3,6 | 1,19 | 1,22 | 1,74 |
| 21.00 | 202 | კალმარი-სილვია | 1,3 | 4,8 | 8,0 | 1,02 | 1,11 | 3 |
| | 203 | კალმარი-სილვია 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 21.00 | 204 | ტრელებორგი-ასირისკა | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | **ფინეთი. ვეიკაუსლიგა. გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 20.30 | 224 | ჰაკა-ჯაზი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 225 | ჰაკა-ჯაზი 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |
| | | **თურქეთი. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **I ტური** | | | | | | |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 22.00 | 239 | სამსუნი-ბეშიქთაში | 4,6 | 3,6 | 1,65 | 2,01 | 1,21 | 1,13 |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 240 | კონია-ტრაბზონი | 3,2 | 3,3 | 2,1 | 1,62 | 1,26 | 1,28 |
| 21.00 | 241 | გენჩლერი-ელაზიგი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 242 | გენჩლერი-ელაზიგი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 21.00 | 243 | გალათასარაი-დიარბაქირი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 244 | გალათასარაი-დიარბაქირი 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |
| 21.00 | 245 | ბურსა-გაზიანთეფი | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 19.00 | 246 | სებათი-დენიზლი | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| 19.00 | 247 | ადანა-მალათია | 2,15 | 3,3 | 3,1 | 1,3 | 1,26 | 1,59 |
| 19.00 | 248 | რიზე-ანკარაგიუჯიუ | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| 19.00 | 249 | ფენერბაჰჩე-ისთანბული | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 250 | ფენერბაჰჩე-ისთანბული 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | **სლოვაკეთი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **IV ტური** | | | | | | |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 20.00 | 275 | პუხოვი-ტრენჩინი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 20.00 | 276 | დუბნიცა-ტრნავა | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 20.00 | 277 | ბ.ბისტრიცა-პეტრჟალკა | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 21.00 | 278 | სლოვანი-რუჟომბეროკი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 23.00 | 279 | ჟილინა-ინტერი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **სერია A. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 22.30 | 331 | ინტერნასიონალი-კურიტიბა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 03.30 | 332 | ფლამენგო-პაია | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 03.30 | 333 | კორინთიანსი-ფიგეირენსე | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 03.30 | 334 | გუარანი-გრემიო | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი** | | | | | | |
| | | **სუპერთასი (კარდიფში)** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 404 | არსენალი-მანჩესტერი | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| | | **პორტუგალია** | | | | | | |
| | | **სუპერთასი (გიმარაეშში)** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 24.00 | 405 | პორტუ-ლეირია | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | | **ჰოლანდია** | | | | | | |
| | | **სუპერთასი (ამსტერდამში)** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 406 | პსვ-უტრეხტი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| | | **შვედეთი. თასი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 22.00 | 407 | პალმსტადი-იორგრიტე | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 22.00 | 408 | ასირისკა-გიოტებორგი | 5,6 | 4,0 | 1,5 | 2,33 | 1,18 | 1,09 |
| 22.00 | 409 | ვესბი-ელფსბორგი | 5,6 | 4,0 | 1,5 | 2,33 | 1,18 | 1,09 |
| | | **ნორვეგია. თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 415 | სტაბეკი-ალესუნდი | 1,5 | 4,0 | 5,6 | 1,09 | 1,18 | 2,33 |
| 22.05 | 416 | ტრომსიო-ბრანი | 2,35 | 3,4 | 2,6 | 1,38 | 1,23 | 1,47 |


სარბიელი
სპორტული ლატარია
CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად
კროკოს
ბიუროები
მუშაობს
მხოლოდ აქვე
მითითებულ
მისამართებზე
და არსად სხვაგან.
ყველა სხვა
ქალაქში ან
დასახელებული
ქალაქების
სხვა მისამართზე
კროკოს
სახელის,
სიმბოლიკის,
კოეფიციენტების
გამოყენება
უკანონოა,
შპს კროკოს
არ ეხება
და მოქმედი
კანონმდებლობის
შესაბამისად
ისჯება

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრინის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| ცნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

*შარშანდელი შედეგებით საქართველოს წლის საუკეთესო ნაკრებმა, ევროპის ჩემპიონმა და მსოფლიოს ვიცეჩემპიონმა ძიუდოისტთა გუნდმა ეგებ საეთაშორისო სირცხვილი ჭამოს. თავშივე განვმარტოთ — მრავალი ტურნირის მომგები ძიუდოისტები ამ საქმეში უბრალონი არიან. თევზი თავში, ანუ ტატამს გარეთ ყარს, სუნი ზედა სართულიდან მოდის*



ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვიცეჩემპიონი საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ წავიდეს

# რა ვუთხრათ მსოფლიოს?..

## მთავრობა ძიუდოისტებს თვალს და ფულს არიდებს

1 **სექტემბერს** ძიუდოს სამშობლო იაპონია, კერძოდ კი მისი დედაქალაქი ტოკიო ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს. ჩვენი ნაკრები კი, რომელიც ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია, ადვილი შესაძლებელია, ტოკიოში საერთოდ ვერ გაემგზავროს. მიზეზი მარტივი და ბანალურია — უფულობა.

ფული, როგორც ეს ასე ხშირად ხდება ამ „დალოცვილ" ქვეყანაში, არ ჩანს, არადა, დრო არ ითმენს. ტოკიოში გასამგზავრებელი და უკან დასაბრუნებელი, იქ ცხოვრებისა და სამონაწილეო თანხა ჯამში 64 ათას ლარს შეადგენს და თუ ეს ფული ამ კვირაში არ გამოიძებნა, ტურნირის ორგანიზატორები ქართველებს შეჯიბრზე არ დაუშვებენ.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი **შოთა ხაბარელი**: „იაპონელები ოცი დღით ადრე ითხოვენ, რომ ტოკიოში შერჩეული სასტუმროს ახლავე გავუსტუმროთ ფული. გარდა ამისა, გადავიხადოთ სამონაწილეო თანხა. თუ ეს ამ სამიოდ დღეში ვერ მოვახერხეთ, მაშინ ჯარიმის სახით ეს გადასახადი ასი პროცენტით გაიზრდება და ორჯერ მეტი გვექნება მისაცემი. გარდა ამისა, ჩვენ ორი თვის წინ დავჯავშნეთ იაფი ბილეთები, მაგრამ რადგან მათი საფასური ვერ გადავიხადეთ, ჯავშანი გაგვიუქმდა და თუ ღმერთმა ინება და ტოკიოში წავედით, ძვირი ბილეთების შეძენა მოგვიწევს. მაგრამ ამას ვინ ჩივის, როცა ხაზინა ახლოსაც არ გვიკარებს და იმედიც კი არ არსებობს, რომ რაიმეს მაინც მივიღებთ.

არ ვიცით, რა ვქნათ. ვისაც მივმართეთ, ყველამ უარით გაგვისტუმრა. გვეუბნებიან, სეკვესტრი არ მომხდარა, მაგრამ ფული მაინც არ არის და რა გიყოთო. რომ ვერ წავალთ, რა ვუთხრათ იაპონელებს, კორეელებს, ფრანგებს? სახელმწიფომ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გუნდი ვერ დააფინანსა? ეს ხომ სირცხვილია..."

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ თუ ძიუდოისტებმა კუთვნილი ფული ამ სამ დღეში ვერ მიიღეს, სირცხვილი სირცხვილად და მთავრობის საფინანსო მოხელეებს მართლაც ცხელი დღეები დაუდგებათ. სიტუაცია სპორტის ჩარჩოებს სცილდება და ოდნავ პოლიტიკურ ელფერსაც იძენს. ხაბარელს და მის შეგირდებს, ყოფილი ძიუდოისტი, ძიუდოს თბილისის ფედერაციის პრეზიდენტი და საკმაოდ ფიცხი პარლამენტარი ზაზა შერაზადიშვილი ექომაგება. კოლეგების „შეჯანჯღარებით" ცნობილი შერაზადიშვილი ფინანსთა მინისტრის შეჯანჯღარებასაც აპირებს.

**ზაზა შერაზადიშვილი**: „მე იმიტომ ვერევი ამ საქმეში, რომ ვარ ყოფილი ძიუდოისტი, ვმუშაობ ძიუდოს ფედერაციაში, ვმეგობრობ ბიჭებთან და მათ არავის დავაჩაგვრინებ. ნაკრების უკლებლივ ყველა წევრი გმირია, თავიანთ საქმეში ისინი რივალდოებიც არიან და რონალდოებიც. მათი გმირობის და ნიჭის წყალობით უცხოეთში საქართველოს ჰიმნი დაიზეპირეს და ჩვენი დროშის აღმართვა-დაშვებით „დაიღალნენ." ბოლოს და ბოლოს იმას ითხოვენ, რაც ეკუთვნით და ამასაც არ უსრულებენ. სულ მათხოვრობა და კარდაკარ წანწალი აღარ შეიძლება. ეტყობა, ჩვენი მთავრობა მიეჩვია, რომ სულ მუშტი უნდა უღერო და დაემუქრო. კი, ბატონო, თუ ასე უნდათ ურთიერთობა, თანახმანი ვართ. მივალთ ფინანსთა მინისტრთან და ერთს გემრიელად შევანჯანჯღარებთ მერე ვნახავთ, ვისი გაჭრის. აგერ, ბიჭებიც წამომყვებიან."

შერაზადიშვილის გვერდით მყოფმა საქართველოს ნაკრებს უკლებლივ ყველა წევრმა თავიანთ ქომაგს კვერი დაუკრა. აგერ ვართ და ერთად წავიდეთო. შოთა ხაბარელმა კი მოსწრებულად იხუმრა — მე თუ ვუთხარი ჩემს გაზრდილებს, ზაზას უკან კი არ წაჰყვებიან, სამინისტროსთან მიასწრებენო.

ერთი სიტყვით, ფინანსთა სამინისტროს სამი დღე აქვს, მერე კი...

**ბაჩო სვანიძე**



# ძალითა შენითა, თუ ნებითა თქვენითა?

## კობი ბრაიანტის სასამართლო დაიწყო

**უქნა თუ არ უქნა**, საკითხავი სწორედ რომ არ არის. აი, როგორ უქნა, ამის გარკვევას ღრმადპატივცემული მოსამართლე ფრედ ჯენეტი თბილისის დროით გამთენიისას შეუდგა.

ვინ ვის რა უქნა? მოგახსენებთ: ამა წლის 30 ივნისს ნბა-ს დიდვარსკვლავი, „ლეიკერსის" ლიდერი, ოლ სტარის ხუთგზის მონაწილე კობი ბრაიანტი კოლორადოში, კერძოდ, „სტიდმინ ჰაუკინსის" კლინიკაში ბრძანდებოდა მცირე ოპერაციის გასაკეთებლად. კლინიკაში მისვლამდე ბრაიანტს 19 წლის კონსიერჟ გოგონასთან დაუჭერია საქმე. მერე კი, ხომ იცით, როგორც ხდება: საქმე რომ მოითავეს, გოგონა პოლიციაში გაიქცა, აქაოდა, ამ თქვენმა დიდვარსკვლავმა გამაუპატიურაო.

ბრაიანტი, ცხადია, უარყოფს — დავაზუსტოთ — გაუპატიურებას უარყოფს, თორემ ურთიერთშეთანხმებით ვნება რომ დაიცხრეს, ამას მორცხვად ყვება, ეს როგორ დამემართა, ცოლს რომ ვუღალატეო.

სიმართლე გითხრათ, კალათბურთელის ნაამბობი უფრო სარწმუნოდ მოსჩანს, ვიდრე ჯერაც ინკოგნიტო გოგოსი. აბა, რა ძალა ედგა, ძალა ეხმარა, ნახევარი კოლორადო იქეთ შეეხვეწებოდა, ვქნათო. მაგრამ, მოგეხსენებათ, გოგოების ერთი კატეგორია, სწორედ ბრაიანტის ნაირ ხალხზე ნადირობს, როგორმე ლოგინში რომ ჩაუგორდნენ, მერე კი მილიონები აართვან.

საქმის განხილვა კი, როგორც თავში გითხარით, ჩვენი დროით გამთენიისას დაიწყო კოლორადოს შტატის პაწაწინა ქალაქ იგლზში, რომელიც დენვერიდან 160 კილომეტრითაა დაშორებული და ამ გახმაურებული აჟიოტაჟის გამო მთელ მსოფლიოში გაუვარდა სახელი.

იგლზს იმდენი ჟურნალისტი და უბრალოდ მოსეირე მიაწყდა, იქაურმა შერიფმა საგანგებოდ გამოაცხადა, სასამართლოში მიყვანილ ბრაიანტს საპარადო შესასვლელიდან შევიყვანთ, კამერების ჩაჩხიკინების საშუალება რომ მიეცეს ხალხსო. ჭკვიანი კაცი ყოფილა შერიფი, სწორად განსაჯა: მილეთის ხალხი იგლზს იმად მოწყდა, ბრაიანტს რამდენიმე წამით თვალი შეავლონ და უკანა კარით რომ შევაპაროთ, ემანდ რამე არ მოხდესო.

წინდახედულმა შერიფმა მეზობელი ქალაქების შერიფებსაც სთხოვა, ხალხი მოგვაშველეთ, მარტო ჩვენ წესრიგის დაცვას ვერ გავწვდებითო.

პირველმა სხდომამ სულ 10 წუთს გასტანა და ფორმალური ხასიათი ჰქონდა და თუ საბოლოოდ ბრაიანტს დანაშაული დაუმტკიცდა, შესაძლოა, 4 წლამდე ციხეში ყურყუტიც მოუწიოს.

**ქოტე ქექელია**





კობი ბრაიანტი თითით საჩვენებელი კაცი გახდა

# კალატოზი ნანგრევებზე მიაყენეს

## მილუოკის ახალი მწვრთნელი ჰყავს

„**მილუოკი ბაქსის**" მფლობელმა, სენატორმა ჰერბერტ კოლმა, როგორც იქნა, დაამთავრა აწყობილი გუნდის ნგრევა და ახლა ცდილობს, პირველი აგურები დაალაგოს. ერთი წლის განმავლობაში კოლმა გუნდის მმართველებს მწვრთნელ ჯორჯ კარლს და გენერალურ მენეჯერ ერნი გუნფილდს გააშვებინა 2001 წელს აღმოსავლეთის ფინალში გასული გუნდის სამივე ლიდერი — რეი ალენი, გლენ რობინსონი და სემ კასელი. ამ ორიოდ კვირის წინ არც ალენის ნაცვლად მისული გერი პეიტონი დაიტოვა და მოგვიანებით მოთამაშეებს კარლი და გრუნფილდიც მიაყოლა.

ჯორჯ კარლის ხელში „მილუოკი" მინიმუმ საშუალოებში ირიცხებოდა, მომავალ სეზონში კი უცილობლად ბოლო ადგილს დაიკავებს დივიზიონში, მაგრამ კოლს ასაწყობი ჰყავს ის ბოლო ადგილის „დამკავებელი" გუნდიც.

გუშინწინ კოლმა „ბაქსს" ახალი მწვრთნელი დაუქირავა, რომელიც მწვრთნელობაშიც ახალი კაცია. 40 წლის ტერი პორტერმა მოთამაშეობაში გაითქვა სახელი, 10 წელი „პორტლენდში" თამაშობდა და მწვრთნელ რიკ ადელმანთან და ლეგენდარულ კლაიდ დრექსლერთან ერთად ეს გუნდი 1990 და 92 წლებში პლეი ოფის ფინალში გაიყვანა. „პორტლენდის" ყველა დროის საუკეთესო მეპასეს და იმ გუნდის მენტალურ ლიდერს კლდეკაცად იცნობდნენ და იცნობენ.

პორტერმა მოთამაშის კარიერა შარშან დაასრულა და რიკ ადელმანმა, რომელიც ახლა უკვე „საკრამენტო კინგზს" მეთაურობს, თავისთან მარჯვენა ხელად წაიყვანა. უკვე ერთ წელიწადში ახალბედა მწვრთნელზე ავანსი გასცა ჰერბერტ კოლმა.

ამ სეზონში პორტერისგან სასწაულებს არ ელიან და არც „ბაქსის" პლეი ოფში გაყვანას მოსთხოვენ, უბრალოდ პორტერს, არცა ჰყავს მოთამაშეები, რომლებიც ასე 30-იოდ თამაშს მაინც მოიგებენ 82-თამაშიან სეზონში, მაგრამ გუნდში, რომელიც ახლა ხელახლა შენდება, პორტერი მთავარი კალატოზის ადგილს დაიჭერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართველები პარიზის შარლეტის სტადიონზე



ქართველთა საზეიმო შეკრება უილსონის პორტრეტიან დარბაზში

*დასაწყისი „სარბიელი“ N 144, 145*

# პარიზული ზაფხული

ეტყობა, ჯერ ყველაფერში მთლად არ დავჩაჩანაკებულვართ. ყოველ შემთხვევაში, ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე — აქამდე ოლიმპიური დღეები რომ ერქვა — საქართველოს ურიგო მიღწევები სულაც არა აქვს. ჩვენი წარმომადგენლები პარიზამდე გამართული ექვსი „დღეებიდან“ ხუთში გამოვიდნენ და 24 მედალი მოიპოვეს, რაც მათ ევროპის 50-მდე ქვეყანას შორის პირველი თხუთმეტეულის შორიახლოს ამკვიდრებს. პარიზულმა ფესტივალმა ჩვენი მონაგარი ორი ოქროს, სამი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედლით გაამდიდრა და ქართველი ახალგაზრდობის პოზიციებიც განამტკიცა.

საქართველოს ანგარიშზე კიდევ ერთი „მიღწევაა.“ ევროპის ახალგაზრდობის ამ ფორუმის გასაშუქებლად ჩვენი ქვეყნის პრესისა და ტელევიზიის რვა წარმომადგენელი ესწრებოდა, რაც ჟურნალისტთა პირადი რეკორდია და, იქნებ ამ თამაშებისაც, რადგან, მგონი, კოლეგების ასეთი სიმრავლით სხვა ქვეყნები არ გამოირჩეოდნენ. თუმცა, ისინი განვლილ თამაშებთან შედარებით ბევრნი იყვნენ.

მაგრამ მთავარი ჟურნალისტთა სიმრავლე კი არა, ჩვენი სპორტსმენების მონაგარია. ისინი სხვებთან ერთად ოლიმპიურ სოფელში ანუ პარიზის საუკუნოვანი საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის ერთ-ერთ კორპუსში დაბინავდნენ.

ის კორპუსი კანადელთა კუთვნილება იყო. რაკი ოკეანეს გაღმელებს ამ ფესტივალთან არაფერი ესაქმებოდათ და საზაფხულო არდადეგებზე იყვნენ, იგი ქართულ დელეგაციას სულგრძელად დაუთმეს. იმავე საერთაშორისო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სხვა მრავალი ქვეყნის კუთვნილი კორპუსებიც იყო, რომლებშიც თავიანთი წარგზავნილები ცხოვრობდნენ. ქართველთა, უფრო სწორედ კანადელთა დასახლება კი სენატორ მარსელინ უილსონს 1924 წელს დაუფუძნებია. მისი პორტრეტი ერთ-ერთ დარაზს ამშვენებდა. სწორედ იმ დარბაზში ორ დღეში ერთხელ ქართული დელეგაციის წევრები იკრიბებოდნენ და მაშინ თვალი უილსონის პორტრეტისკენაც ხშირად გამირბოდა. მაშინ ვფიქრობდი იმაზე, თუ საქართველოში როდის გამოჩნდება ის მადლიანი კაცი, ვინც პარიზის ამ საერთაშორისო უნივერსიტეტში ან სხვაგან ქართველ სტუდენტთა დასახლებას დააფუძნებს-მეთქი.



მამუკა ტულუშმა ოქროთი გაიხარა და ჩვენც გაგვახარა



ლაშა ტვილდიანი ეს ესაა, ჩემპიონი გახდა

ჩვენი დელეგაციისთვის ასეთი კაცი ბადრი პატარკაციშვილი გამოდგა, რომლის მიერ დაფუძნებული ოლიმპიური ფონდის წყალობით ქართველთა ამ ფესტივალზე გამოსვლა და მისთვის მომზადება შესაძლებელი გახდა. ამას კანადურ სახლში შეხიზნული ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელობა ხშირადახსენებდა იქ შეკრებილთ. საქართველოს დელეგაცია იქ საზეიმოდ იკრიბებოდა და იქვე ყველა მედლოსანი მნიშვნელოვანი ფულადი პრემიებით ჯილდოვებდა.

სხვათა შორის, საქართველო ერთადერთია, რომელიც ახალგაზრდულ ფესტივალზე თავის მედლოსანთა წარმატებებს ამგვარად აღნიშნავს.

* * *

პარიზის ფესტივალზე ჩვენი სპორტსმენები ყოველდღიურად ორ-ორ მედალს „გამოიმუშავებდნენ“. ტრადიცია არც იმ დღეს დარღვეულა. ჩვენთვის ის დღე მაინც განსაკუთრებული გამოდგა, რადგან ოზურგეთელმა მამუკა ტულუშმა ჩემპიონობა იზეიმა და ჩვენი დელეგაციის ყულაბაში პირველი ოქროც ჩაუშვა.



მამუკას გამარჯვება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ამ თამაშებში საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის მთელ ისტორიაში ეს მეორე შემთხვევაა, როცა არაძიუდოისტმა იზეიმა ჩემპიონობა. მამუკა ტულუშმა წარმატებას ბირთვის კვრაში მიაღწია.

პარიზში გამომგზავრებამდე ჩვენი მძლეოსნობის სპეციალისტები ირწმუნებოდნენ, მამუკა ტულუში ჩემპიონი გახდებაო, თუმცა სხვებს ეს მეტად აეჭვებდათ. როგორც ტულუშმა გვითხრა, იგი თავადაც იმედიანად იყო. ეგ კი არა, სჯეროდა, რომ ბირთვს უფრო შორსაც ჰკრავდა, და არა 19,62 მეტრზე, რამაც მას ჩემპიონობა მაინც მოუტანა.

აქამდე მამუკას ყველაზე დიდი წარმატება მოსკოვში გამართულ დსთ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნების შარშანდელ პირველობაზე მოპოვებული მეორე ადგილი იყო.

მამუკაზე რომ ვსაუბრობთ, ერთი ანდაზა გვახსენდება, მადლი ჰქენი, ქვაზე დადეო. მამუკასთვის მადლი მისმა ფიზკულტურის მასწავლებელმა ქნა და ქვაზეც დადო. შეიძლება ითქვას, პირდაპირი მნიშვნელობითაც.

მამუკამ ამ სახეობაში ვარჯიში სწორედ... ქვების სროლით დაიწყო.

„მაშინ ათი წლისა ვიყავი და ჩემმა ფიზკულტურის მასწავლებელმა გიორგი ერქომაიშვილმა მითხრა, ჩემთან წამოდი და შენგან კარგი ბირთვის მკვრელი დადგებაო — იხსენებს მამუკა ტულუში — მე კი ამ სახეობაზე წარმოდგენაც არ მქონდა. თავდაპირველად ჩემი მასწავლებელი ქვებს მასროლინებდა, რადგან ბირთვი არ გვქონდა. ქვები ლამის სამი თვის განმავლობაში ვისროლე და ვისროლე. მერე თბილისში შეჯიბრებებზე წამომიყვანეს. მშობლებმა მაშინღა გაიგეს, რომ მძლეოსნობაზე დავდიოდი.“

ერთი სიტყვით, ოზურგეთში ქვების სროლით დაწყებული საქმე პარიზში ოქროს მედლით დაგვირგვინდა. უფრო სწორად, ასე აქაურ ფესტივალზე თავისი გამოსვლა დაასრულა, თორემ საქმის დაგვირგვინებამდე ჯერ სადაა. მამუკას წინ კიდევ ბევრი ასპარეზობები ელის და, ვინ იცის, ეს ოზურგეთელი ბიჭი გახდეს ის, ვინც ჩვენს მძლეოსნობას ოდინდელ წარმატებებს დაუბრუნებს.

* * *

პარიზში მეორე ოქროს მედლით ძიუდოისტმა ლაშა ტვილდიანმა (50 კგ.) გაგვახარა. მან ძიუდოს ინსტიტუტის ტატამზე გამოცდები ბრწყინვალედ ჩააბარა, როცა ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო.

ტვილდიან ქართველთაგან ბოლო ასპარეზობდა და ჩვენი სპორტსმენების პარიზის ცხელი საზაფხულო გამოსვლა ოქროს მედლით გაასრულა.

ლაშა გაგრელი ლტოლვილი გახლავთ, ძიუდოს კი წყალტუბოში ეზიარა. მაშინ მეშვიდე კლასელ ბიჭს მამამისმა ხელი ჩასჭიდა და ძიუდოს სექციაში გურამ ქურასბედიანს მიაბარა.

„თავის დროზე მამაჩემიც ძიუდოისტი იყო და უნდოდა, მეც მის კვალს გავყოლოდი — იხსენებს ლაშა ტვილდიანი — მანამდე კი კარატეს სექციაში დავდიოდი, თუმცა მერე ძიუდო მეტად მომეწონა და უფრო ავითვისე კიდეც. თბილისში დაფუძნების მერე ჩემი მწვრთნელები ვაჟა ბალხამიშვილი და მალხაზ შეშაბერიძე გახდნენ. მათი დამსახურებაა, რომ შარშანწინ ანტალიაში თანატოლთა შორის საერთაშორისო ტურნირი მოვიგე. შარშან კურსკში ასეთსავე ასპარეზობაშიც გავიმარჯვე, მაგრამ პარიზული ოქროს მედალი, ცხადია, ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია. ახლა ჩემი ოცნება პეკინის ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლა და გაისად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკურ ფაკულტეტზე მისაღები გამოცდების ჩაბარებაა.“

**ავთანდილ გურასაშვილი**

**პარიზი–თბილისი**

**ავტორის ფოტოები**

*დასასრული იქნება*

# ფედერერს თუ გაუგრძელდა, ფერერო ჩამოვარდება

TENNIS MASTERS CANADA
მონრეალი. მაგარსაფარი
საპრიზო 2,45 მილიონი $

**პირველი წრე**

**ხუან კარლოს ფერერო** (2, ესპანეთი) — სირილ სოლნიე (საფრანგეთი) 6:4, 6:4; **როჯერ ფედერერი** (3, შვეიცარია) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 6:4, 3:6, 7:5; **ლეიტონ ჰიუიტი** (5, ავსტრალია) — ბობ ბრაიანი (აშშ) 6:2, 6:2; **ენდი როდიკი** (6, აშშ) — ქსავიე მალისი (ბელგია) 3:6, 6:0, 6:2; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — გილერმო კორია (7, არგენტინა) 6:3 კორიამ შეწყვიტა; **სებასტიან გროჟანი** (9, საფრანგეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:3, 6:3; **ირჟი ნოვაკი** (10, ჩეხეთი) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 7:5, 3:6, 6:3; **მარიანო საბალეტა** (არგენტინა) — სხენგ შალკენი (12, ჰოლანდია) 6:1, 6:1; **ტიმ ჰენმანი** (ბრიტანეთი) — ფერნანდო გონსალესი (14, ჩილე) გონსალესმა შეწყვიტა; **მარტინ ფერკერკი** (15, ჰოლანდია) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:2, 4:6, 7:5; **ტომი რობრედო** (116, ესპანეთი) — ლი ჰიუნგ-ტაიკი (სამხრეთ კორეა) 6:4, 7:6 (7:0); **ევგენი კაფელნიკოვი** (რუსეთი) — გრეგორი კარა (საფრანგეთი) 1:6, 6:2, 6:4; **უეინ ბლეკი** (ზიმბაბვე) — უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) 6:4, 2:1 ფერეირამ შეწყვიტა

თავადაც ხედავთ — წლევანდელ მონრეალობაზე კაი ზორბა და სახელიანი კომპანია შეყრილა. კაცთა ამქრის უზეპურესი მეჩოგნენი იქ საპრიზოდ დათქმული მსუყე თანხისა და საპატიო მასტერსტიტულის გარდა ერთმანეთს საჩემპიონთარბოლო ქულებსაც ეცილებიან. შეგახსენებთ — გამარჯვებულს 100 ქულა ერგება, ფინალისტს — 70, ნახევარფინალისტს — 45, მეოთხედფინალისტს — 25, მესამე წრეში გასულს — 15, მეორეში — 7, პირველი წრიდანვე ოტებული კი შინ კინკილა ქულას წაიღებს.

ახლა რბოლაში საამკვირაოდ არსებული ვითარება მოვიგონოთ. ბევრი რომ არ მივკიბ-მოვკიბოთ და რეიტინგნუსხას „საჭაშნიკემდე" არ ჩავყვეთ, აქ მხოლოდ იმ პირველ თხუთმეტადგილოსან მეჩოგნე ჩამოგითვლით, რომელთაც ყველაზე მეტი შანსი აქვთ, წლის ბოლოს სეზონის დამაგვირგვინებელსა და შემაჯამებელ რვაკაცა მასტერსთასზე ითამაშონ (რაიც წლეულს ჰიუსტონში გაიმართება).

აი, ისინიც: ხუან კარლოს ფერერო (552), როჯერ ფედერერი (547), გილერმო კორია (513), ანდრე აგასი (490), ენდი როდიკი (407), კარლოს მოია (366), რაინერ შუტლერი (357), მარკ ფილიპუსისი (260), სებასტიან გროჟანი (238), ფელიქს მანტია (235), მარტინ ფერკერკი (235), გუსტავო კუერტენი (233), ლეიტონ ჰიუიტი (232), ტომი რობრედო (226) და აგუსტინ კალერი (222).

ამ თხუთმეტიდან მონრეალში მხოლოდ ფელიქს მანტია არ ჩასულა, მარკ ფილიპუსისმა კი ზედ ტურნირის წინ გრიპი აიკიდა და კორტზე გასვლა იუარა. რაც შეეხებათ დანარჩენებს, ამ მომენტისთვის, როცა ეს სტრიქონები იკრიფება, მონრეალურ მასტერსტურნირს მხოლოდ 9 კაცი შერჩა. პირველ დღეს გამეორწრევებულ ანდრე აგასისა და რაინერ შუტლერს ფერერო, ფედერერი, როდიკი, გროჟანი, ფერკერკი, ჰიუიტი და რობრედო მიჰყვნენ...

განსაკუთრებულ ინტერესს ბოლო სამი კვირის განმავლობაში უთამაშებელი როჯერ ფედერერის ჩოგნაობა იწვევდა. წლევანდელი უიმბლდონის გამარჯვებული ოდნავ მოჟანგული ჩანდა და მსოფლიოს რანგით 28-ე


როჯერ ფედერერი

მეჩოგნე გასტონ გაუდიოს მასთან ტოლსწორად პაექრობის უფლება უბოძა, მაგრამ გადამწყვეტ სეტში, სადაც არგენტინელი 4:2 იგებდა, ფედერერმა ბადესთან მიძალების ტაქტიკას მიმართა და ეს ისე დამაჯერებლად გააკეთა, რომ მატჩის მომდევნო მონაკვეთი კორტწმინდად, 5:1 მოიგო.

ასევე სამ სეტად გაირჯა ფედერერის კბილა ენდი როდიკიც, ოღონდ რეიტინგსიის 62-ე ადგილზე მყოფ ქსავიე მალისს ის მაინც უფრო იოლად გაუსწორდა — წაგებული პირველი ხელის შემდეგ მეტოქეს მან მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო.

უფრო შთამბეჭდავნი იყვნენ ხუან კარლოს ფერერო და ლეიტონ ჰიუიტი — პირველმა ისე-რა ფრანგ სოლნიეს აჯობა, მეორემ კი 51 წუთში გადაუარა ამერიკელ კვალიფიკანტს, საერთოდ უფრო წყვილად მოჩოგნავე ბობ ბრაიანს.

მეორე წრეში ფედერერი გრეგ რუზეცკის შეხვდება, ფერერო კი — ჯიუტ მაროკოელ ვეტერან იუნეს ელ აინაუის. ვითარება ახლა იმგვარია, რომ, თუკი შვეიცარიელი ამ ტურნირს ფერეროზე ერთი წრით მეტხანს შერჩება, საიმკვირაო ჩემპიონთა რბოლაში პირველ ადგილს დაიბრუნებს.

სხვაფრივ — 15-მოგებიანი და სამკვირიან-სამტიტულიანი საარაკო სერია შეუწყდა უნიჭიერეს არგენტინელ გილერმო კორიას. 21 წლის გაუჩომ მარჯვენა მუხლქვეშა მყესმა მოისატკივრა და ჭაბუკ ესპანელ ლოპესთან წაგებული პირველი სეტის შემდეგ საჭურვლის დაშალითება არჩია.

ასევე დაშავდნენ წინა კვირას ვაშინგტონურ ფინალში ტიმ ჰენმანისგან ძლეული ფერნანდო გონსალესი და იმავე დღეს ლოს ანჯელესურ ფინალში ლეიტონ ჰიუიტის მძლეველი უეინ ფერეირა. გონსალესს — ვინაც, სხვათა შორის, ისევ ჰენმანს ერკინებოდა — მარჯვენა მუხლი წაემურდლა, ფერეირას სეხნია ბლეკთან მატჩის შეწყვეტა დაჭიმულმა მარჯვენა ბარძაყმა აიძულა.


ლეიტონ ჰიუიტი

JP MORGAN CHASE OPEN
ლოს ანჯელესი. მაგარსაფარი
საპრიზო 635 ათასი $

**პირველი წრე**

**ვიქტორია კუტუზოვა** (უკრაინა) — ლინა კრასნორუცკაია (რუსეთი) 6:4, 6:4; **ბარბარა შეტი** (ავსტრია) — ემი ფრეზერი (აშშ) 4:6, 6:4, 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა** (რუსეთი) — მაგი სერნა (ესპანეთი) 6:3, 7:6 (7:3)

**მეორე წრე**

**აი სუგიამა** (4, იაპონია) — საორი ობატა (იაპონია) 2:6, 6:3, 6:3; **მაგდალენა მალეევა** (6, ბულგარეთი) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:3, 6:3; **კონჩიტა მარტინესი** (7, ესპანეთი) — ტარა შნაიდერი (იაპონია) 7:5, 6:3; **სილვია ფარინა ელია** (11, იტალია) — შინობუ ასაგოე (იაპონია) 7:5, 2:6, 6:4; **მარია შარაპოვა** (რუსეთი) — ნადია პეტროვა (14, რუსეთი) 6:2, 2:6, 7:5

ამ ისე-რა ტურნირის პირველმა დღეებმა ჩვენი ყურადღება ორი ნორჩი გოგოს გამო მიიპყრო.

პირველი 16 წლის რუსი მარია შარაპოვა გახლავთ, ვინაც — გარდა იმისა, რომ ქეროსან-ღიმილოსნობით თავის სექსთვისტომ ანა კურნიკოვასაც სჯაბნის — საკუთრივ საჩოგბურთო თვალსაზრისითაც უფრო სერიოზული მოვლენა უნდა იყოს.

მეორე კი მარიაზე ორი წლით უმცროსი უკრაინელი ვიკა კუტუზოვაა, რომელმაც იმ დღეს კარიერის პირველი სა-WTA-ო შეხვედრა გამართა და გამოცდილ ლინა კრასნორუცკაიას სძლია.

გეხსომებათ — შარაპოვამ წლევანდელ უიმბლდონობაზე მეოთხე წრემდე მიატანა და ქომაგის საყოველთაო, ორგემაგე სიმპატია დაიმსახურა.

მას შემდეგ რძემარწყვა მაშა აღარსად გამოჩენილა, მაგრამ ლოსანჯელესურ ტურნირზე მაინც ხოშიანად გამოიყურება — პირველ წრეში მრავალ კორტზე ნაპაექრებ კატარინა სრებოტნიკს რომ აჯობა, მეორეში სულაც მე-14 ნომრად განთესილ თანამემამულე ნადია პეტროვასაც მოერია.

რაც შეეხება კუტუზოვას, ვისაც მშობელი მამა, ვალერი წვრთნის და ორიოდ კვირის შემდეგ 15 წლისა გახდება, WTA-ის რეიტინგსიაში ამ კვირიდან შეიყვანეს. ის ახლა 451-ე საფეხურზე დგას, მაგრამ ისეთი პირი უჩანს, მალე უფრო მაღლაც ვიხილავთ.


მარია შარაპოვა

# სერენას კლაისტერსი აღმართში მიეწია



*ქალთა ამქრის პირველმეჩოგნე სერენა უილიამსმა, ბოლო ექვსი სლემტურნირიდან ხუთის მომგებმა ბაყვბაყვდევმა წინა კვირაში მუხლის ოპერაცია რომ გაიკეთა, გუშინწინაც გაუწყეთ. იქვე ისიც ვთქვით, რომ ამ ამბის გამო, მამა რიჩის 21 წლის გოგოცუნა 25 აგვისტოს დასაწყებ აშშ-ის ღია პირველობაზე თამაშს ვერ შესძლებს და ვერც შარშან იქ მოხვეჭილ ტიტულს დაინარჩუნებს. ახლა კი ის გვინდა, გუშინწინ, ადგილის სიმცირის გამო მჭლედ მოწოდებული ეს ინფორმაცია ოდნავ ხორცით შევმოსოთ და თქვენს წინაშეც უფრორე შთამბეჭდავად წარმოვადგინოთ*

მაშ ასე: სერენამ ოპერაცია მავან ლოსანჯელესურ სადასტაქროში გადაიტანა. საქმე მისი მარცხენა მუხლის მყესებს შეეხებოდა, რომლებიც უმცროს შავდას რამდენიმე წლის განმავლობაში აწვალებდნენ, თუმცა აქამდე აბებისა და მასაჟის წყალობით მათი დროებითი გაყუჩება მაინც ხერხდებოდა. ამ ჯერზე კი მყესებმა მეტისმეტად გაიმასჭნეს და აღარც აბების გავლენას დაექვემდებარენ და აღარც მასაჟისას. ისე რომ, კორტზე გასულ სერენას მყისვე მუხლის ტკივილი ეწყებოდა.

სწორედ ამის გამო იყო, უიმბლდონზე გაპარპაშების შემდეგ უმცროსი შავდა არც ერთ ტურნირზე რომ არ გამოჩენილა და ბოლო სამ კვირაში უკვე მესამე კალიფორნიულ ტურნირს რომ აცდენს.

ნაოპერაციევი მუხლის მოშუშებას სულ მცირე 6-8 კვირა უნდა დასჭირდეს და კიდევ გავიმეორებთ, ამ მიზეზით სერენა ვერც მორიგი სლემტიტულის მითვლას შესძლებს და ვერცთუ მორიგი საპრიზო მილიონისა.

ეგ კი არა და, სერენამ, შესაძლოა, რეიტინგსიის მწვერვალოსნობაც დაკარგოს. საამკვირაო ნუსხაში მას 6060 ქულა აქვს და მეორეადგილოსან კიმ კლაისტერსს, ვინაც წლეულს 13 ტურნირზე ითამაშა, ყველგან სულ მცირე ნახევარფინალში მაინც გავიდა, 10-ჯერ სულაც ფინალამდე უწია და ამათგან ხუთში იმარჯვა კიდეც, მხოლოდ 149 ქულითღა უსწრებს.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუ კიმი ამ კვირას კარსონში მიმდინარე ტურნირზეც გაპირველდება, სერენას შარშანდელი უიმბლდონის მერე 56 კვირის განმავლობაში ნაქნევ სეფეჩოგანს ჩამოართმევს.

**ლევან ძელაურაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კობის საკითხები




REUTERS კოლორადოდან

კოლორადოს შტატის ქალაქ იგლის სასამართლოს შენობის წინარე ქუჩა მოძრავი ტელესადგურებითა და სატელიტური ანტენებითაა გადატვირთული. ამის მიზეზი ისაა, რომ სწორედ ამ სასამართლოში დაიწყო „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ვარსკვლავის, კობი ბრაიანტის საქმის განხილვა. ბრაიანტს ბრალად ედება იქავე, კოლორადოში, კორდილერა ლოჯის ახლოს, 19 წლის გოგოს გაუპატიურების მცდელობა.
ამის გამგონე ფირმა „ფერერომ", რომლის ტკბილეული გამოქვეყნებულია, გამოაცხადა, ახალი წლიდან ბრაიანტს სარეკლამო კონტრაქტს აღარ გაუგრძელებ, რადგან ფირმის კეთილი იმიჯი ამ ბრალდებებს არაფრით ეხამება.



REUTERS იგლიდან




REUTERS მიუნხენიდან

# გადმოხტა

ბუნდესლიგა გახურდა და მთვრალმა ქომაგმაც არ დაახანა. მიუნხენში, „ბაიერნ"—„აინტრახტის" თამაშის დროს უსირცხვილო ჯეელმა ისკუპა და მიუნხენელთა დაცვის მუშაკმა ძლივს გაარიდა მინდორს. ვერაფერი სანახავი იყო.

# ტანჯული გამოჩნდა

დააკადუბებით ტანჯულ ქუნიმუს ფლესტირნს (უშველებელ მთაკაცს), „ოლ ბლექსის" ოდინდელ ვარსკვლავ ჯონა ლომუს მძიმე რამ სნეულებებმა, თირკმელთა და სხვათა ტკივილებმა რომ დარიეს ხელი, მისი სპორტული კარიერა ლამის ყველამ გამოიტირა. მაგრამ, აჰა, სერიოზული მკურნალობის გასწვრივ ჯონა სავარჯიშო მინდორზე გამოჩნდა: ძლიერ უნდა მსოფლიო თასზე თამაში და საოქტომბროდ მზადყოფნაზე ოცნებობს.



REUTERS ველინგტონიდან




REUTERS ათენიდან

# ათენური სუვენირები

ათენში პირველად გამოფინეს 2004 წლის ოლიმპიადისთვის უკვე გამზადებული ოლიმპიური სუვენირები და ნივთები. ქალაქში სავანგებო ოლიმპიური მაღაზიები გაიხსნა და ოლიმპიური სოფლის პრეზენტაციაც შედგა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა ბუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge